შუალამისას სუპერმარკეტების უკან სურსათის გადაყრილი ყუთებიდან ყველის ნაფშვენებს ვაგროვებდი და ეკასთვის ხაჭაპურის მსგავს კვერს ვაცხობდი. ეკა ევროპულ სტილში შეეჩვია, ინტერნეტკაფეში ალბელი ფულით მოტოციკლი იყიდა. დედა-შვილს საერთო ენის გამონახვა გვიჭირდა. ჩემი გამუდმებული საუბარი საქართველოზე, აქაურ ნაცნობებსა და ნათესავებზე მასში ირონიულ ლიბოს ინვეცდა, სატელეფონო კავშირები ჩემს ქვეყანასთან ალიზინებდა, ჩემს ცრემლებსა და ნოსტალგიას პროტესტით პასუხობდა. მიხვდი, შვილი კომპოლიტიც და მსოფლიო მოქალაქედ ჩამოყალიბებულიყო. აღმოჩნდა, რომ ეკა შეეყვარებულა ვიღაც იტალიელ ვაჟზე. მეგონა, ბუბის სიკვდილს განიცდიდა, ჩემს გამომგზავრებასაც თავდაჭერილად შეხვდა.

წამოსვლამდე სერიოზული საუბარი გვექონდა. მან დამაჯერებლად და არგუმენტირებულად ამიხსნა, რომ საქართველოში არასოდეს დაბრუნდებოდა. ლუკსემბურს გამოდევენებულმა ერთი ქალიშვილი ვაგზარდ და ისიც სამშობლოს დავუკარგე. მე მის გარეშე არ შემიძლია. არადა, აქ, ამ მინაზე მინდა, დავიმარხო ჩემიანებთან. არ ვიცი, ეკა ამ უკანასკნელ სურვილს თუ შემისრულებს...

საზღვარგარეთ წამსვლელ ქალბატონთა საყურადღებოდ ხმამალა ვიტყვი: ნუ წაიყვანთ თქვენს მოზარდ შვილებს! ევროპულ ცხოვრებას ნაზიარები საქართველოში აღარ დაბრუნდებიან.

სამშობლოში დაბრუნებას სხვაგვარი ძალისხმევა, აღზრდა და მზაობა სჭირდება.

ესაუბრა ლალი შაშიაშვილი

ნაზი სიხარული: სკოლის მოსწავლეები

ჩატარებული განათლების რეფორმა ჩვენი თანამედროვე ყოფის უტყუარი სარკე და მომავლის სურათია. ამ მიმართულებით ბევრი ითქვა და სათქმელიც ბევრი დარჩა. კარგი იქნება, ამ განსჯას რაიმე სიკეთე თუ მოჰყვება. საინტერესოა, დგას თუ არა სწორ გზაზე რეფორმირებული განათლების სისტემა, რეფორმით მოტანილი ფორმები და მეოთხედი არის თუ არა მდგრადი, დღეს განათლების ლამაზი თუ მიუძღვის ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, უხსნის თუ არა გზას ახალ იდეებსა და შესაძლებლობებს, თუ არა ინტელექტუალური გადაგვარებისკენ მივდივართ?.. განათლების სისტემის რეფორმა ერის მოზარდნი წაიღეს უკმაყოფილების გრძნობა დაუტოვა, ამიტომ მიმდინარეობს ცხარე პოლემიკა მთელ რიგ საკითხებსა და არსებულ პრობლემებზე. პროფესიული სწავლების ცენტრებში რეფორმების გავლენაზე გვესაუბრება რუსთავის პროფესიული სწავლების ცენტრის სასწავლო გეგმებისა და პროგრამების კოორდინატორი ნაზი სიხარულიძე.



ადამიანს 21-ე საუკუნეში საშუალო განათლება თუ არ აქვს, ეს უკან მიბრუნების ტოლფასია.

— რატომ ფიქრობთ ასე, ერუდიციისა და ინტელექტის ნაკლებობა ხელს უშლის თქვენს აღსაზრდელებს, ხელმარჯვე ოსტატებად ჩამოყალიბდნენ?

— ასე იმიტომ ვფიქრობ, რომ დღეს სკოლაში თავისუფალი დასწრება. დისციპლინის დაცვაზე კონტროლის მექანიზმი არ არსებობს, სკოლის მოსწავლეები მიშველებულ ნახიზს ჰგვანან. სკოლას აღარ აქვს ზემოქმედების ბერკეტი, რითაც მოსწავლეს სწავლას აიძულებს. სასწავლო პროგრამებიც ისეთია, რომ მოზარდებს ცოდნის შეძენის ინტერესს უკარგავს. სკოლიდან მოდის გაუთვითცნობიერებელი, ცოდნის საფუძველს მოკლებული მოსწავლე. პროფესიულ სასწავლებლებში, კი მხოლოდ ხელოვნებას ვუფლება და ზოგადი განათლება, რომელიც მის დახვეწას შეუწყობდა ხელს, დამთავრებულია. რა თქმა უნდა, ცოდნის უკმარისობა ხელს უშლის მოზარდს ოსტატად ჩამოყალიბებაში. წარმოდგინეთ კომპიუტერული ტექნიკის ან მობილური ტელეფონის შემკეთებელი, რომელმაც მათემატიკის ან ფიზიკის ანი და ჰოე არ იცის. ამ ვიდეორეგების ძირითადი საფუძველების ცოდნა ჭეშმარიტად დაეხმარებათ ელექტროაპარატურის, კომპიუტერების, მობილურების სათანადოდ დონზე შეკეთების საქმეში, ასევე, საოფისე ტექნიკის გამართვაში (ქსეროქსი, ფაქსი). ხელსაწმანა, რომელმაც აზრობრივად არ იცის, რა უნდა გააკეთოს, ემსგავსება რობოტს, რომელიც ერთ გარკვეულ ოპერაციას შეზღუდული მიმართულებით ასრულებს. პროფესიულ სასწავლებლებს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, მოსწავლეებს ასწავლონ ტექნიკური საგნების საფუძველები, რითაც პროფესიულ სწავლებლებს დაეხმარება. არ ვიცი, რატომ გადაწყდა, რომ საშუალო განათლება არ იყოს სავალდებულო.

— ქალბატონო ნაზი, რამდგომარეობაა დღეს პროფესიული სწავლების ცენტრებში?

— ჯერ კიდევ გასული საუკუნის პირველ ნახევარში, სტალინის დროს, საბჭოთა მთავრობამ დადგინებდა მიიღო სავალდებულო საშუალო განათლების შესახებ. დღეს დანაყოფი და საბაზო განათლება სავალდებულოა, საშუალო განათლება კი — არა. ადამიანი არასრული საშუალო განათლებით არ არის ჩამოყალიბებული პიროვნება, არ გააჩნია გახსნილი თვალსაწიერი და ნაწრთობი გონიერული უნარ-ჩვევები. შეიძლება ხელობა შეისწავლოს, შედეგში კი ბიზნესიც აანჯოს, ოჯახიც შეინახოს, მაგრამ ის ვერ იქნება პიროვნება, ინდივიდი, მოქალაქე ჩამოყალიბებული ცნობიერებით, არ ექნება გააზრებული,

ვინ არის, საიდან მოდის მისი ფესვები, სად არის მისი სამშობლო და არ ეცოდინება საკუთარი ადგილი საზოგადოებაში. ვერ გააჩნევს ავსა და კარგს. ჩვენ გვყავდა დიდი სწავლული დიდაქტიკოსი და პედაგოგი დავით გურამიშვილი, რომელიც წერდა: „ავი და კარგი გარჩევა, ვხედავ, რომ ახლოს მიწყვი, მინდა და სწავლის სიმოკლით ცალკე ვერ გამიყვია“. დიას,

პროფესიული სწავლების ცენტრში მოსწავლე გარკვეულ უნდა, ცოდნის უკმარისობა ხელს უშლის მოზარდს ოსტატად ჩამოყალიბებაში.

ლეილა მესხი:

ჩვენი პრეზიდენტი ქვეყანაში ანტიკორუპციულ პოლიტიკას ატარებს, დემოკრატია მისთვის ერთსიტყვიანი ზღაპარია

პროფესიით ისტორიკოსი და ფილოლოგი **ლეილა მესხი**, რომელიც წლების განმავლობაში ცხოვრობდა და მუშაობდა საზღვარგარეთ, თავად დაგვიკავშირდა და გვთხოვა, საკუთარი გულისტკივილის გამოთქმის საშუალება მიგვეცა. „საქართველო და მსოფლიო“ სიახლოვებით უთმობს ტრიბუნას მამულისთვის გულანთებულ ქართველ მანდილოსანს, რომელსაც ქვეყნის ბედზე ფიქრი ძილს უფროსობს, ერის წყლული გულს უკლავს.



იცით, რა ხდება აღმოსავლეთ გერმანიაში?.. დღემდე იმართება მიტინგები, უკმაყოფილო ხალხი სოციალისტური წყობის დაბრუნებას ითხოვს, კაპიტალიზმი ადამიანური ეგოიზმის უდიდეს გამოვლინებად მიაჩნიათ...

— ვარდების რევოლუციის „დროს გერმანიაში ვიყავი, აქაურ ამბებს ტელევიზიითა და გაზეთებით ვიგებდი. გერმანული ენა კარგად ვიცი და პრესას სისტემატურად ვეცნობოდი. სააკაშვილი პარლამენტის შენობაში რომ შეიჭრა და შევარდნაძის ჩი დალია, სიხარულისგან ორი კვირის განმავლობაში არ მიძინებია... იცით, რატომ არის ცუდად ჩვენი საქმე?.. იმიტომ, რომ იდუარდი დღესაც კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაშია მოკალათებული.

ყო, მიზანმიმართულად არ მესმის, როგორ უნდა მიიზაროს ქართულმა მიწამ შევარდნაძე?! ვარლამ არავიძეზე უარესი დღე ელის. მიკვირს, რატომ აპატიან ხალხმა, როცა ლინჩის წესით გასამართლებას იმსახურებს. დღევანდელ პოლიტიკას სწორედ სიონისტ მასონთა წევრმა შევარდნაძემ ჩაუყარა საფუძველი.

— **რატომ არ დააყენეს სათანადო ორგანოებმა ბატონი იდუარდის პასუხისმგებლობის საკითხი?**
— მიზანმიმართული იცავს და იმიტომ, მაგრამ ვნახოთ, როდემდე დაიცავს!..
— **როგორ აფასებდა გერმანული მასმედია სააკაშვილის მოსვლას ხელისუფლების სათავეში?**
— „ვარდების რევოლუციიდან“ ერთი კვირის თავზე გერმანულ პრესაში დაიბეჭდა, რომ საქართველოში მომხდარი ხავერდოვანი რევოლუცია პიარი იყო და სხვა არაფერი.
— **რა იგულისხმება პიარი?**
— შევარდნაძე ამერიკელებს გაურიგდა და ხალხის თვალის ასახვევად დაიდგა „ვარდების რევოლუცია“.

— **რატომ გგონია, რომ ამერიკის პოლიტიკის განხორციელება საქართველოში ქვეყანას დაუზავებს?**
— საშინელება ჩაიფიქრე!.. რა უნდა კონტროლის პალატას ქუთაისში? ხალხო, ქუთაისის დასავლეთ საქართველოს დედაქალაქად ამზადებენ, დაგეგმიან, დაგეგმულს ქუთაისელებს! საქართველოს სააკაშვილის ხელში ორად გახლეჩა ემუქრება. ამ გეგმის ყველაზე საიმედო შემსრულებლად რუსეთსაც და ამერიკასაც მიზანმიმართულად ამზადებენ. დემოკრატია მისთვის ერთსიტყვიანი ზღაპარია. თავი უძლეველი ჰგონია, მაგრამ თუ განრისხებულმა ხალხმა მოთმინება დაკარგა, მაშინ სააკაშვილსა და მის ბანდას ოპოზიციის ლიდერებიც ვეღარ უშველიან.

— **რატომ უყურებთ ეჭვის თვალს კონტროლის პალატის ქუთაისში გადატანას?**
— ამერიკისა და რუსეთის სამოქმედო გეგმაში ჩადებული ჩვენი ქვეყნის ორად გახლეჩა და გაგლეჩის სფეროების განდანიშნება რუსებს სამეგრელოს გამოყოფაც სურთ და აფხაზეთთან მიერთება. მამი-სონის უღელტეხილზე საზღვარი გადმოინდის, ჩვენი ხელისუფლება კი ხმას არ იღებს (!). საშიშროება ემუქრება სამხრეთ საქართველოსაც. მაინტერესებს, ვის თავში მომინდება, ვინ შეთხზა ტერმინი „თურქი მესხები“? თავად ძირ-ძველი მესხი ვარ, ჩვენი გვარის (მოსხი) მერვე საუკუნიდან მოდის, ხომ ამოტრიალდება თაბაში თუ ცვლილებები არ განხორციელდა. შეიძლება ამ კანონის მსხვერპლი ბევრი ნიჭიერი ღარიბი ახალგაზრდა გახდეს, ამგვარი მსხვერპლით კი ქვეყანა გალატაკდეს. ნუ მოვიდებთ ნამხედვრობით უცხო ქვეყნების განათლების სისტემის მოდელს.

მიუხედავად ნასიკის ჰგვანან

სკოლის დამთავრებასაც შეძლებს, მას პერსპექტივა აქვს არა მარტო პროფესიულად დაოსტატებისა, არამედ ნინსვლისაც, თუნდაც უმაღლესი განათლების მიხედვითაც.

ხადგმულ და ეკონომიკურად წელში გაუმართავ ქვეყანაში ცხოვრობთ. პროფესიული სწავლების ცენტრში, ძირითადად, სოციალურად დაბალი ფენის ოჯახის შვილები მოდიან. გული მწყდება, რომ ბევრი მათგანი გამორჩეული ნიჭისა და უნარების მქონეა. დღევანდელი კანონმდებლობით, ასეთებისთვის მომავლისკენ გზა გადაკეტილია, რადგან არ გააჩნიათ საშუალო სკოლის დამთავრების საბუთი. განათლების რეფორმამ პროფესიული სწავლების ცენტრები შემოსაზღვრულ წრეებში ჩაკეტა.

— **ასეთი მიდგომა საზოგადოებაში ეჭვს აჩენს, რომ მომავალ თაობებს მხოლოდ სა-მოსამსახურო სფეროსთვის ამზადებენ და მათი განათლება, ნიჭიერება არც ქვეყანას და არც ერს სჭირდება...**
— არ მგონია, ასეთი შეფასება საქმეს შეელოდეს. საბჭოთა პერიოდში იყო უზარმაზარი პროფესიული სამმართველოები. მომსახურების სფერო ჩემში არავითარ ცუდასოციაციას არ იწვევს. ქვეყანას საკუთარი მზარეულიც უნდა ჰყავდეს და დურგალიც... მაგრამ ხელმოკლე, ნიჭიერი მოსწავლეს არსებობის საშუალებასთან ერთად ნინსვლის საშუალებაც უნდა მიეცეს. „მეცი ნიჭსა გზა ფართო“... ზოგიერთს იმდენად სწყურია ცოდნის შეძენა, რომ ორმაგ დატვირთვას გაუძლებს. ახალგაზრდობა ხომ უზღვევი ენერჯის წლებია. ჩვენი ერი სწავლისმოყვარე კი არა, განათლების თავყვანისმცემელია. ქართველი კაცი პერანგს გაიხდის, ოღონდ შვილს ასწავლოს. რამდენი დიდი მეცნიერი და შემოქმედი ვიცი, რომელმაც ერთდროულად პრობითა და სწავ-

ლით დიდება მოიპოვა. ჩვენს ერს არ ჭირდება 21-ე საუკუნის მეცნიერულ-ტექნიკურ სამყაროსთან ინტეგრირება. განა ვერ შევძლებთ, უკეთესი მომავლისთვის ბრძოლაში ჩვენი გონებრივი წვლილი შევიტანოთ? ამისათვის ადამიანის ნიჭის სასიკეთოდ მოზილიზებას ხელი უნდა შეუწყნოთ.



— **ესაუბრა ლალი შაშიაშვილი**

— **ესაუბრა ლალი შაშიაშვილი**

— **ესაუბრა ლალი შაშიაშვილი**

ბალზაბალო

წადით, აღარ გეგდომებათ ამ კურთხეულ მინზე, შეიძულეთ ჩვენი რწმენა და სატანის ინამეთ.

ვით კალია, შეესიეთ ჩვენს მთებს, ველებს, ტყიანეთს, წყალიც აღარ დაგვიტოვებთ, მინაც გაგვიტიალეთ,

ამაზრუნენი თქვენი დროშა ნითლად ააბდღვიალეთ, ყველგან „ბუგით“ აცეკვებით თქვენს შადრევნებს, ზურიალებს.

ქვეყნის ბედი წალმის ნაცვლად უკუ დაატრიალეთ. ახლა თქვენი დრო დასრულდა, კმარა, რაც იგრიალეთ!

ცოდვის შვილნო, გადაწყვებით ბნელით მოცულ პიარებს, თქვენს დაგებულ გზებს, კი მალე ცხვირით გააპრიალებთ, მაშინ ვნახავთ, „უროდებო“, ვინ ვის გაატიალებს!..

ლეილა მესხი

ლო მდგომარეობაში ვართ. ასეთი განსაცდელის წინაშე არასოდეს მდგარა საქართველო. ოპოზიცია უნდა უფრო შემართული იყო საბრძოლველად, ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალული. ახლა თვეში ერთი ახალი პარტია მინც იქმნება, მაგრამ ეროვნულით ვერც ერთს გამოარჩევს, უკვე მოსაზრებელია მათი ლაგებობა.

— **მაშ, ვის უნდა ენდოს ხალხი?**
— ახალი სახე, ძლიერი, სიმართლისთვის მებრძოლი ლიდერი, წინამძღოლი, ყოჩი გვეჭირდება, რომელიც ქვეყანას გადაარჩენს. მე ვერ ვენდობი იმ ოპოზიციონერ ლიდერებს, ვინც წარამარა ამერიკაში დარბის. უნდა შეიქმნას საქართველოს ხსნის კომიტეტი, რომელშიც შევლენ მამულისთვის გულანთებულნი ადამიანები.

— **სად ვეძებთ ყოჩი?**
— სამწუხაროდ, ვერც ერთი ოპოზიციონერი ლიდერი ვერ ბედავს ყოჩობას. შალვა ნათელაშვილი მუდამ სიმართლეს ლაპარაკობს, ხალხის ინტერესების დაცვასა და ჩვენი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ცდილობს, იბრძვის, უკან არ იხევს, მაგრამ გამბედაობა აკლებს. პირადად მე ლეიბორისტებს მივცე ხმა არჩევნებში და ბატონ შალვას დედაშვილურად მოუწოდებ, გადადგას გაბედული ნაბიჯი და ნახავთ, რომ ქუდზე კაცი, მთელი საქართველო დაიძვრება. ჩემი აზრით, დღეს ერთადერთი ოპოზიციური ძალა, რომელსაც ქართველები გააყვენიან, შალვა ნათელაშვილი და მისი პარტიაა. მე თუ მკითხავთ, რესპუბლიკელები და მემარჯვენეები ხელისუფლებაში არ უნდა მოვიდნენ.

— **რატომ?**
— მერცხლებივით ამერიკის ხაზზე არიან ჩამოსუკუბული და იმიტომ!
მინდა, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს შევხსენო, რომ დროა, გონს მოეგონ და ეროვნული გზა აირჩიონ, სანამ გვიან არ არის!

ესაუბრა ლალი შაშიაშვილი

ქართული სისხელი პატიმრების ნაგავის, დისკრიმინაციისა და ფულის კეთილშობილ ბუდედ იქცა



დილით ადრე დიდუბის ავტოსადგომიდან გარდაბნის მიკროავტობუსს რუსთავეის ციხისკენ გავეყვი, მეორე ზონასთან ჩამოვედი. სასჯელაღსრულების დანესე-ბულების ქიშკარასთან, რომელსაც სამხედროები იცავდნენ, პატიმართა პატრონების საკმაოდ გრძელი რიგი იდგა. მათი საუბრიდან გავიგე, რომ მნახველები და ამანათის მომტანები რიგს დილის 6 საათიდან იკავებენ. ჯარისკაცები რიგგარეშით ქიშკარაში ორ ადამიანს უშვებდნენ. რეგისტრაცია უკვე ორი საათის დანახვით იყო, პროცესი ნელა, გაჭიანურებულად მიმდინარეობდა. მოუქნელი და ბიუროკრატიული ადმინისტრაცია ათასი მანქანების გამო ამ საკითხის ორგანიზაციას ვერ ახერხებდა.

შემაძრწუნა უკან გაბრუნებული პატიმრების პატრონთა საუბარმა მათ მიმართ ავადმჯობელებულ დამოკიდებულებაზე, მომსახურე პერსონალის სისასტიკეზე. აშკარაა, რომ ამ კვლევას იქით ყველაზე დიდი უსამართლობა სიმართლის სახელით ხდება. რატომ იქცა სასჯელაღსრულების დანესე-ბულები სიბილნის, ბოროტების, სიძულვილისა და უსამართლობის კრებით სახედ, სადაც ყოველდღიურად უღმრთო ცხოვრებისეული სპექტაკლი თამაშდება? რესპონდენტები თავიანთ ვინაობას შეგნებულად არ ასახელებენ, რათა შემდგომში ციხის საზარელ ურჩხულადქცეულმა ადმინისტრაციამ პატიმრებზე მიუღებელი მე-თოდებით შური არ იძიოს.

მ.კ.: — ამ რიგებს მნახველთა ურიგოდ შეშვება ინვესტორი, ოღონდაც რიგში არ დადგეს და არ დაილალოს, ფულს იხდის (ყველა მნახველმა იცის, რომ ურიგოდ შეშვება 20-30 ლარი ღირს). თუ პროტესტს გამოთქვამ, აქეთ გამოვლანდლავენ და არც შენს პატიმარს დაადგება კარგი დღე. რიგს ცვლის უფროსი, ამანათის შემომწმებლები და რეგისტრატორი ანესრიგებენ. ურიგოდ შემოსულთა „ლევი“ ფულიც მათ ჯიბეში მიდის. შესვლისას მნახველები განცხადებას ვაგვებთ — ვისთან ვართ და რა გვიინდა (პაემანი, ამანათის გადაცემა თუ მედიკამენტების შეგზავნა). პაემანების რიგი ცალკეა, ამანათებისა — ცალკე. ექიმი კი გვიან, 3 საათზე მოდის, ამიტომ დილიდან მოსულს ექიმის ლოდინი დიდხანს გვინევს. ვერ გამოვიდა, რატომ არ შეიძლება რეგისტრაციის დანახვისას ექიმის იქ იყოს?



ნასწორებული ადამიანი და-ნიმონი, რომელსაც, შეიძლება, კეთილგანწყობა არა, მაგრამ ნეიტრალური პოზიცია მაინც ექნება მნახველთა მიმართ.

ე.ჭ.: — წინა თვეში, დილის 6 საათზე მოვედი ჩემს ვერთან, რომელიც ჩემი გაზრდილია. ამანათი დღის სამ საათზე შევეუგზავნე. ციხეში ტელეკომის აპარატები დადგეს, პატიმრის პატრონები 20-ლარიან ბარათს ვყიდულობთ, მათთვის, რომ გველაპარაკონ ხოლმე. ეს ბარათები რუსთაველი მხოლოდ ერთ ადგილზე იყიდება, მაღაზია გვიან იღებს და საღამოს 6 საათზე იკეტება. გავიფიქრე, 3 საათამდე ამანათს შევეუგზავნი, შემდეგ „კარტას“ ვუყიდვო რუსთაველი-მეთქი. ამანათი კი შევეუგზავნე, მაგრამ ბიჭის გასარეცხი ტანსაცმლის გადმოცემას ჩემთვის არა და არ დაადაგა საშველი; როცა გულისწყრომა ვერ დავემალე, დაცინვით მიიხრეს: — „შენი შვილი იქ ფეხბურთს თამაშობს, პასუხი კი არა, მოგიტანსო“. ფეხბურთი და გულგასიებული ველოდები და გულგასიებული ველოდები ფუთას, მაგრამ ნერვებმა მიმტყუნა და უცებ გიჟივით ავეყვირდი, — რა გინდათ, რად მანვალბებთ-მეთქი. მაშინ კი იკადრეს და ტანსაცმელი, რომელიც იქვე ედოთ, გადმომანოდეს. რატომ მომეცე-

ნაბრაძე. ჯერ ორთაჭალაში მუშაობდა, მერე — გლდანში, ახლა აქ არის. იგი საზიზღარი პიროვნებაა, რომელიც პატიმრების „პერედანჩებთა“ და სპეციალურად შექმნილი რიგებით გამდიდრდა. ბუნებით სალახანა და სადისტი. ნარმოიდგინეთ, ჩემს ძმას დაბადების დღე ჰქონდა (მაშინ ორთაჭალის ციხეში იჯდა). მთელი თვე ვემზადებოდი ძმასთან წასასვლელად — ყველაფერს ვიკლავდი, კაპიკს კაპიკზე ვაწვებდი, არც ნერვია დამიშურებია. მის დაბადების დღეს ორთაჭალის ციხეში 10 საათის განმავლობაში რიგში ვიდექი. ყვირილსა და ლარიანცელებს, როგორც იყო, ბადრბადე მივანე. მძიმე, საუკეთესო პროდუქტებით სავსე ჩანთა მეველად ჩაბრძანეს გადავიცი. მეველად ჩანთა დიდხანს სინჯავდა. არც მომრიდებია, ჩემ თვალში ისე უტიფრად გადაიხსო თავისთვის ყველა ის ნუგბარი, რომელიც ოთხ კედელშია მომწყვდული მძისთვის ასეთი რუდუდებით გავამზადე, რათა ეგრძნო ოჯახის სითბო, საყვარელი და ყურადღება, რომელიც პატიმარს კაცს ძალიან სჭირდება სულიერი სიმტკიცისთვის. მეველდის საქციელზე მღე-ღვარებისაგან ხმა ჩამიწყდა და სიმონის ცრემლები წამსკდა, ბოლმისგან ვიხრჩობოდი და ხმას კი შიშით ვერ ვიღებდი; ვიცოდი, ჩემი პროტესტით ძმას ვავნებდი. იქ იყო ცვლის უფროსი, ვინმე გია, რომელიც ჩემს ტანჯვას უყურებდა. მისი ბრძანებით გარე-ნარმა ჩაბრაძემ ყველაფერი უკლებლივ ჩანთაში ჩააბრუნა და ძველმა ცვლის უფროსის წყალობით ჩემს ძმამდე ხელულებლად მიაღწია. მე ჩემს შვილებს ლუკმა დავაკე-ლი, რათა მძისთვის მიმეტანა და არა იმიტომ, რომ უზნეო მეველდ ჩემი ნაშრომ-ნაწევები გადაეყლაპა. ამგვარი პიროვნებანი ციხეს უნდა მოაცილონ და დასა-ჯონ კიდევ, რადგან ბრიყვე-ნი მხოლოდ საკუთარ გამოც-დილებაზე სწავლობენ ქუპას.

აქ რომ დავინახე მეველდ ჩაბრაძე, იმასაც მოვკარი უარი, რომ ეს არის კასი-ლეგენდა, რომელმაც გვირგვინი სხვა შემოიარა. „კასი-ლეგენდა“ კი იღვა და პატიმრების მოქოლინი ქალბს უნაწერი გინებით მივართავდა, სხვათაშორის, მისო.

ბ.ზ.: — დიდი ხანი არაა, რაც მალაზიები გახსნეს, ამიტომ პატიმრებისთვის პროდუქტების, ტანსაცმლის, თეთრულის შეგზავნა აიკრძალა. „სახალხო ბანკში“ პატიმართათვის ანგარიშები გახსნილი, რომელზეც პატიმრები ფულს ვურიცხავთ. დადგენილი ნორმა თვეში 150 ლარია. ციხის მალაზიებში ყველაფერი ძვირად იყიდება. ამბობენ, ეს ბიზნესი თვითონ დეპარტამენტის ბოლოებს ეკუთვნის. მოტანილ ტანსაცმელს, სპორტულსა და „ჩუსტებსაც“ კი გვინუნებენ და უკან გვიყრიან. პურების საცხობიც გახსნეს, რათა მოგება ნახონ. ყველაფერს ვხვდებით, შვილო, მაგრამ ჩვენი სისხლი და ხორცი მათ ხელშია, რომ გავაბოროტოთ, მათ ზურგზე გადავიდის. რიგები კვლავ დიდიხანს სალა-სინჯავდა. არც მომრიდებია, ჩემ თვალში ისე უტიფრად გადაიხსო თავისთვის ყველა ის ნუგბარი, რომელიც ოთხ კედელშია მომწყვდული მძისთვის ასეთი რუდუდებით გავამზადე, რათა ეგრძნო ოჯახის სითბო, საყვარელი და ყურადღება, რომელიც პატიმარს კაცს ძალიან სჭირდება სულიერი სიმტკიცისთვის. მეველდის საქციელზე მღე-ღვარებისაგან ხმა ჩამიწყდა და სიმონის ცრემლები წამსკდა, ბოლმისგან ვიხრჩობოდი და ხმას კი შიშით ვერ ვიღებდი; ვიცოდი, ჩემი პროტესტით ძმას ვავნებდი. იქ იყო ცვლის უფროსი, ვინმე გია, რომელიც ჩემს ტანჯვას უყურებდა. მისი ბრძანებით გარე-ნარმა ჩაბრაძემ ყველაფერი უკლებლივ ჩანთაში ჩააბრუნა და ძველმა ცვლის უფროსის წყალობით ჩემს ძმამდე ხელულებლად მიაღწია. მე ჩემს შვილებს ლუკმა დავაკე-ლი, რათა მძისთვის მიმეტანა და არა იმიტომ, რომ უზნეო მეველდ ჩემი ნაშრომ-ნაწევები გადაეყლაპა. ამგვარი პიროვნებანი ციხეს უნდა მოაცილონ და დასა-ჯონ კიდევ, რადგან ბრიყვე-ნი მხოლოდ საკუთარ გამოც-დილებაზე სწავლობენ ქუპას.

აქ რომ დავინახე მეველდ ჩაბრაძე, იმასაც მოვკარი უარი, რომ ეს არის კასი-ლეგენდა, რომელმაც გვირგვინი სხვა შემოიარა. „კასი-ლეგენდა“ კი იღვა და პატიმრების მოქოლინი ქალბს უნაწერი გინებით მივართავდა, სხვათაშორის, მისო.

მო სასჯელს იხდიდა. მეექვსე ათეულში მე-9 ვიყავი. იმდენი ფული დამეხარჯა „პერედანჩებისთვის“, სახალხო ბანკში ტაქსის ფული აღარ მქონდა. დილით ადრე მივედი. უშვე-ლებელი რიგი თითქოს არ იძვროდა... ისეთი ამბავი ატყდა, რიგის გულისთვის ერთმა ქალმა მეორეს ყელი გამო-ლაღდა. სასწრაფოთი ნაიყვანეს. ამ ფაქტმა შეგვაყვინა. 30 დეკემბერს ციხიდან ღამის პირველის ნახევარზე გამო-ვედი. მეტრო უკვე აღარ მუშაობდა, მე კი გლდანში ვიყავი წასასვლელი, ჯიბეში კი ლარი და ზურდები მეყარა, სახლში ორი არასრულწლო-ვანი ბავშვი მელოდებოდა, თანაც ქუჩაში ხომ არ დაერ-ჩებოდი. ორთაჭალაში დან-გლდანში ფხვით ნახვლა გა-დავწყვიტე. გზად მიმავალი რამდენიმე მანქანამ გამიჩე-რა, ყურადღება რომ ამ მი-ვაქციე, ნავიდნენ. ღამის სა-მის ნახევარზე, უკვე „პერე-ხანდო ხიდთან“ ვიყავი. იქვე გაჩერებულ მანქანას სამი კა-ცი უტრიალებდა. მე გვერ-დით ჩავუარე და გზა გავაგ-რძელე. უცებ ზურგს უკან ჩქარა ნაბიჯებით ხმა მიმეს-მა, ტანში გამცრა და მამაკა-ცის ხმა გავიგონე: „ქალბა-ტონო, შეიძლება სახლში წა-მოგყვით?“ მთელი დღის და-დლოლობამ და გაგულისებამ თავისი გაიტანა, გაცეცხლე-ბული მივბრუნდი და ჩხუბი დავუწყე. „მანქანამ წყალი აგ-ვიღულა, იქნებ, ეზოში მაინც ამავსებინოთ ბოთლი,“ — ნირნამხდარი მუდარით მიპა-სუხა. როცა ვუთხარი, რა დღეშია ციხე, გამოუცდელი, თანდაყოლილი ფულის მან-კით. „ფორტოჩკამდე“ ერ-თად მივიდნენ. სანამ აჩი-„მლანკს“ შეავსებდა და შე-რულს კონტროლიორს გა-დასცემდა, ის ბიჭი გაქრა. სი-გარეტებში კი ნარკოტიკი აღ-მოაჩინეს. ხელი დაავლეს აჩი-კოს და დააპატიმრეს. 5 წელი მიუსაჯეს და 10000 ლარი ჯა-რისა გადაახდევინეს. მე მისი ბიძა ვარ. ის, ვინც დაურეკა, მიღე გამოუშვეს ციხიდან, როგორც გაირკვა — თანამშ-რომლობისთვის. აჩი კი ჩას-ვეს და მისი ფულით ბიუჯე-ტიც შეავსეს.

ბ.ზ.: — ისეთი ალღევებული ვარ, ვერ ვლაპარაკობ. ტუ-ბერკულოზიანი პატიმარი მყავს. ვერა და ვერ გადავიყ-ვანე საავადმყოფოში. დიდი ფული უნდა. აქ დავალამე და ვერაფრით შევეუგზავნე თაფ-ლი ალოლო, არ შეიძლება. ბოლოს სხვა პატიმრის პატ-რონმა, ახალგაზრდა კაცმა შემავაზინა. იმ კაცს რას ვერჩი, პატივი მცა. იმისთვის შეიძლება, რადგან ფული მისცა. ეს განსხვავება გულს მიკლავს. ამბობენ, შაშკინის ამის გამო ვიღაცები დაუს-ჯია, მაგრამ მსგავსი შემთხ-ვევები ვერ ამოიძრკვეს.

გ.ჯ.: — არ მაინყვდება ერ-თი ახალი წლის ღამე, როდეს-საც ჩემი მეუღლე ორთაჭა-ლის ციხეში იყო, ავარის გა-

რუსთავეის ზონაში 31 დეკემბერს ბაკრი უინვასა და ქარში 200-კასიან რიგში ვიღაქი და ღამის 11-ის ნახევარზე ქლივს მივალნი სარკველთან.

კარები ჩემს ზურგს უკან ჩაიკეტა და „პერედანჩების“ მიღებაც შეწყდა. კარს უკან კი 30 კაცი მაინც დარჩა. უკვე მე-6 წელია, ყოველწლიურად ამგვარი განუკითხობის მოწმე ვარ სახალხოლოდ და საადლოგომოდ.

P.S. სულისშემძვრელი და დრამატულია ამ ადამიანთა ნაამბობი.

ჭეშმარიტება კი ერთია: ერისა და სახელმწიფოს და-ცემა იწყება იქ, სადაც მოყ-ვასის ტკივილი სახელმწიფო სამართალდამცავი მოხე-ლისთვის სულერთი ხდება.

ლალი შაჰიანი

შეგეგვან ჩემსუნაყვე

„დღესდღეობით ქრისტიანობის, ისლამის, იუდაიზმის, ნებისმიერი სხვა რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა სეკულარული მსოფლმხედველობიდან მომდინარეობს. სწორედ მას სურს ამა თუ იმ რელიგიის დამახინჯება, მისი სასაცილოდ წარმოჩენა, ამისთვის კი მორალურად და ფინანსურად ეხმარება ანტირელიგიურ პროექტებს“, — განაცხადა მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარის მოადგილემ პროტოიერეი გიორგი რიაბინმა. ამას შეიძლება დავუმატოთ, რომ უფრო ხშირად ასეთი პროექტები უმადლეს დონეზე პოულობს მხარდაჭერას. ასე მაგალითად: საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ პარლამენტის წინაშე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ ჩადრი — ესაა ქალის დამცირებისა და დამონების სიმბოლო და არა რელიგიური აუცილებლობა. „ამას არაფერი აქვს საერთო იმასთან, როგორც საფრანგეთში ესმით ქალის ღირსება. ჩადრი არაა რელიგიური სიმბოლო. ეს საკუთარ სურვილებზე უარის თქმის სიმბოლოა. ჩვენ ვერ შევგუებით, რომ ჩვენს ქვეყანაში იყვნენ ქალები, რომელნიც მოქცეულნი არიან ბადის როგორც ციხის გისოსებს მიღმა და მოწყვეტილნი არიან სოციალურ ცხოვრებას“, — განაცხადა საფრანგეთის ლიდერმა.



შვეიცარიაში ისლამის შემსწავლელი ჯგუფის პრეზიდენტის სტეფან ლატონის შვეიცარიის საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტთან განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთში არცთუ ისე ბევრი ქალი ატარებს ფარანჯას, „მათი რიცხვი იზრდება“. ასეთივე სიტუაცია აღწერა ექსპერტმა შვეიცარიაში, ოლონდ აღნიშნა, რომ ვინაიდან შვეიცარიაში მუსლიმანთა ძირითადი ნაკადი ბალკანეთიდან მოდის, სადაც ბოლო დროს საფალისტურტი ტენდენციები ძლიერდება, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფარანჯები აქაც გამომჩნდება.

ნებისმიერ შემთხვევაში, ფარანჯის ტარებაზე დისკუსია სასარგებლოა, — თვლის ექსპერტი. „ფარანჯა მათი გამოწვევაა, ვინც მას ხედავს. ეს ყურანის ტექსტის სიტყვა-სიტყვით აღქმის შედეგია, რომელიც ქალის საკუთარი სხეულის მთლიანად დაფარვისკენ მოუწოდებს“. ლატონი მთლიანად იზიარებს სარკოზის პოზიციას, რომ „ფარანჯა რელიგიის პრობლემაა კი არა, ქალის ღირსების პრობლემაა“ და ამბობს, რომ აუცილებელია მისი ტარების აკრძალვა შვეიცარიაშიც, სადაც, საფრანგეთისგან განსხვავებით, სასწავლო დაწესებულებებში ჰიჯაბის ტარება ნებადართულია.

უდავოდ, პრეზიდენტის პოზიცია გასაგებია და მისაბალანსებული იქნებოდა, საუბარი რომ იძულებული წესით ჩადრის ტარებაზე ყოფილიყო, მაგრამ აღნიშნავთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა საფრანგეთის მოქალაქე მუსლიმანი ქალებისა და ცხოვრების უფლების მქონე იმიგრანტების მიერ ჩადრის ნებაყოფლობით ტარებას. სარკოზის ინტერპრეტაციები მისი პირადი საქმეა (თუმცა, ვგონებ, ცოტა მეტი პატივისცემა მართებდა საფრანგეთის რიცხოვნობით მეორე რელიგიის წარმომადგენელთა ტრადიციების მიმართ), მაგრამ რა უფლებები უკრძალავს ვინმეს ისეთი ტანსაცმლის ტარებას, როგორც თავად თვლის საჭიროდ და, თანაც, ამ საბოლოო საერთო ღირებულებებს არ აყენებს შეურაცხყოფას? ეჭვი არავის ეპარება, ჩადრი რომ არა მორწმუნე ხალხს, არამედ რომელიმე სუბკულტურის წარმომადგენლებს რომ ეტარებინათ, სარკოზი ერთ სიტყვასაც არ იტყობდა. თანაც, მთავრობამ უკვე განაცხადა სპეციალური კანონის მიღების თაობაზე, ხოლო პარლამენტარებმა — პრობლემის შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ. სარკოზი დარწმუნებულია, რომ ჩადრის აკრძალვა აუცილებელია ქალთა თავისუფლების უზრუნველსაყოფად. აღსანიშნავია, რომ ქალებს აზრს არავინ ვეითხება, სწორედ ისე, როგორც ბოლშევიკები.

შეგახსენებთ, რომ 5 წლის წინათ საფრანგეთის სკოლებში აკრძალეს ჰიჯაბის (თავსაბურავის) ტარება, რამაც საფრანგეთის ხუთმლლიონიან მუსლიმანურ ერთობაში პროტესტების ტალღა გამოიწვია. პროტესტს, ძირითადად, ქალები გამოთქვამდნენ. გასულ შემოდგომაზე საფრანგეთის ხელისუფლებამ მოქალაქეობის მინიჭებაზე უარი უთხრა ქალს იმის საფუძველზე, რომ იგი ე. წ. „ბურკას“ (იგივე ფარანჯა, ჩადრს) ატარებდა. ადრე მსგავსი უარისთვის სხვა მიზეზებს პოულობდნენ ხოლმე. შემთხვევა, რომლის შესახებაც ვაზუთი „le monde“ მოგვითხრობს, კიდევ ერთხელ გვახსენებს ერთ სა-

ზოგადობაში სხვადასხვა კულტურის შეთავსებადობის პრობლემას. ფრანგული საზოგადოება, რომელიც გამორჩეულად მაღალი დონითა და ყველა აღმსარებლობის, კულტურისა და რასის ხალხის თანასწორობით ამყობს, რამდენადაა მზად ხალხთა რელიგიური თავისებურებების მისაღებად? 32 წლის ფაიზა მ. მარკოვილია, გათხოვილია საფრანგეთის მოქალაქე (ასევე მუსლიმანია) და საფრანგეთში მისგან 3 შვილი ჰყავს. ის მუდმივად ცხოვრობს ქვეყანაში 2000 წლიდან, ლაპარაკობს ფრანგულად და მოითხოვს მისთვის საფრანგეთის მოქალაქეობის მინიჭებას. უარი მოტივირებულია ერთადერთი მიზეზით: „ბურკას“ (ასე ეძახიან არაბები შავ ან მუქი ფერის სამოსს, რომელიც ფარავს მთელ სხეულს და აქვს მხოლოდ ჭრილი თვალებისთვის) ტარების გამო. პირველად საფრანგეთის ისტორიაში სახელმწიფო საბჭომ — ქვეყნის უმაღლესმა სასამართლო ორგანომ — ყურადღება მიაქცია რელიგიურ პრაქტიკას უცხოელის საფრანგეთის საზოგადოებაში ინტეგრირების შესახებ. — ამბობს „Le Monde“. ვერდიქტში ნათქვამია, რომ ფაიზა მ. მ. „თავისი რელიგიის რადიკალური ნიშნების სახელით გამოავლინა ისეთი სოციალური ქცევა, რომელიც შეუთავსებელია საფრანგეთის საზოგადოების ძირითად ღირებულებებთან, კერძოდ, სქესთა თანასწორობის პრინციპთან“. 2005 წელს პირველი ისტანბულის სასამართლომ უარი უთხრა ფაიზა მ.-ს „არასაკმარისი ასიმილაციის“ მიზეზით. სახსაბჭოს შემდეგ იგი ვეღარსად შეიტანს სააპელაციო განცხადებას. რო-

გორც ვხედავთ, ეს ნამდვილი, დაუფარავი დისკრიმინაცია რელიგიურ ნიადაგზე. უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში ეს გადაწყვეტილება გაამართლეს. საფრანგეთის სოციალისტური პარტიის პირველი მდივნის ფრანსუა ოლანდის სიტყვებით, „კანონი სწორად იქნა გამოყენებული“ და „დათმობებზე წასვლა არ ღირს“. მოქალაქეობის მიღებისას აუცილებელია ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ასიმილაციის დონის გათვალისწინება. ამავე აზრზეა საფრანგეთის უმაღლესი განათლების მინისტრი ვალერი პეკრესი. რადიოთი გამოსვლისას მან განაცხადა, რომ „სქესთა თანასწორობის პრინციპი საფრანგეთის რესპუბლიკაში განხილვას არ ექვემდებარება“. „ბურკას ტარების გარდა, ეს ქალი არ მონაწილეობდა არჩევნებში, არ გააჩნდა არანაირი დამოუკიდებელი ცხოვრება და გადაადგილდებოდა მხოლოდ ქმრის თანხლებით“, — აღნიშნა მინისტრმა. საფრანგეთში ბოლო წლებში მიმდინარეობდა დებატები ჰიჯაბთან (მუსლიმანურ ცხვირსაბოცთან, რომელიც თავსა და კისერს ფარავს) დაკავშირებით. 2004 წლის 15 მარტის კანონით, აკრძალულია რელიგიური კუთვნილების გამოჩენის მიზნით თვალმისაცემი ნიშნების ტარება ზოგიერთ სახელმწიფო დაწესებულებაში, მათ შორის, სკოლებში, კოლეჯებში, ლიცეუმებში. თეორიულად ყველა სხვა ადგილას ჰიჯაბის ტარება ნებადართულია, თუმცა დროდადრო სხვადასხვა ადგილას შემთხვევები მიიჩნევა გვაქვს, ძირითადად, მერიებში. კანონით, ნებისმიერი უცხოელი, რომელიც ფარანჯაზე დაქორწინდება, ორი წლის



შემდეგ საფრანგეთის მოქალაქეობის უფლებას იღებს. მაგრამ ამავე კანონის ზოგიერთი მუხლი მას ზღუდავს. ცოლმა ან ქმარმა უნდა დაამტკიცონ „თავიანთი ასიმილაცია ფრანგულ საზოგადოებასთან, კერძოდ, საფრანგეთის მოქალაქეობისა და მოვალეობის უფლებებისა და მოვალეობებისა, და პირობებიდან გამომდინარე, ფრანგული ენის საკმარისი ცოდნა“. ხელისუფლებამ შეიძლება უარი უთხრას მას არასაკმარისი ასიმილაციის შემთხვევაში, რაც, ძირითადად, გამოვლენდება „ფრანგული საზოგადოების ძირითადი ღირებულებების უარყოფითი ექსტრემისტული იდეების გავრცელებაში“. როგორც ვხედავთ, ზემოხსენებულ შემთხვევაში არც ექსტრემისტული იდეები ყოფილა და არც ფრანგული საზოგადოების ძირითადი ღირებულებების უარყოფა; იყო მხოლოდ რელიგიური ტრადიციის დაცვისკენ მისწრაფება.

შესაძლებელია, რომ სარკოზის ინიციატივამ მხარდაჭერა სხვა ქვეყნებშიც პოვოს. შვეიცარიაში ინტერესით უბასუხებს საფრანგეთის პრეზიდენტის განცხადებას, რომ ფარანჯა არის ქალის დამონების სიმბოლო. შვეიცარიაში გაცილებით ცოტა მუსლიმანია, მაგრამ ისლამთან დაკავშირებული საკითხები იქაც რეგულარულად იჩენს ხოლმე თავს. კრიტიკის მიუხედავად, შვეიცარიის სახალხო პარტიის ინიციატივას მიმართულებით მშენებლობის აკრძალვის შესახებ მაინც განიხილეს რეფერენდუმზე, რომელიც შემოდგომაზე გაიმართება, — იუნყება შვეიცარიული გაზეთი. საფრანგეთში მიმდინარე დებატებზე რეაგირებისას politstvoboda.ru მოამზადა ლეოსო ლეიკოვიჩი



ნატოს

ნატოს მეთაურის პოსტზე ანდერს ფოგ რასმუსენს (Anders Fogh Rasmussen) მრავალ პრობლემასთან შეჯახება მოუწევს. მათგან არც ერთია ისეთი სახიფათო, როგორც მომგებიანი სტრატეგიის ძებნა ავღანეთში და „ცივ ომში“ ყოფილ მონინაალმდევე რუსეთთან ურთიერთობის გამოსწორება.

56 წლის დანიელი ყოფილი პრემიერ-მინისტრი პირველია, ვინც სამხედრო ალიანსს ჩაუდგა სათავეში. მან გენმდივნის პოსტზე პოლანდიელი იაპ დე ჰოოპ სხეფერი შეცვალა.

მისთვის ყველაზე პრიორიტეტული ამოცანა იქნება ავღანეთში თალიბანის წინააღმდეგ წარმატების გზების ძიება, რათა შესაძლებელი იყოს ნატოს ძალების ავღანეთიდან გაყვანა.

ეს იოლი არ იქნება, რადგან დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი ავღანეთის ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლები უფრო და უფრო ძალას იკრებს, მიუხედავად მხარდის საერთაშორისო ჩარევისა.



უკანასკნელი გენსაკი?

„არც ერთ სხვა გენმდივანს პოსტი არ ჩაუბარებია ისეთ სიტუაციაში, როცა ნატო აქტიურ, რთულ და, ზოგიერთის მტკიცებით, წინააღმდეგ განხორციელდებოდა“, — თქვა ტომას ვალასეკმა (Tomas Valasek), ევროპული რეგონების ცენტრის ანალიტიკოსმა.

„ავღანეთი ახალი გენსაკის თავისუფლების 90%-ს უზრუნველყოფს, თუმცა, ბედის ირონიით, იმის გარდა, რომ მას ისეთი არაპოპულარული საქმის კეთება მოუწევს, როგორცაა დამატებითი ჯარებისა და ფულის გაგზავნა, მისი არჩევანიც საკმაოდ შეზღუდულია.“

რასმუსენი შეეცდება თავისი ჯოჯოხეთი ევროპელი მოკავშირეების დარწმუნებას დიდი რაოდენობით ჯარებით, ფულითა და სხვა რესურსებით უზრუნველყოფის აუცილებლობაში, მაშინ, როცა გამოკითხვების შედეგები არცენებს, რომ ომის საზოგადოებრივი მხარდაჭერა დანაკარგების ოდენობის პირდაპირპროპორციულად იკლებს.

მას მოუწევს ძალების დახარჯვა ალიანსის მიერ ავღანეთში პოლიციისა და სამართალდამცავი ორგანიზაციების განვრთვის ინტენსიფიკაციაზეც — ისე, რომ ნატოს ძალებმა წასვლა შეძლოს.

ნატო აცხადებს, რომ მისი საერთაშორისო უსაფრთხოების თანამშრომლობის ძალები (International Security Assistance Force, ISAF), რომელთა ძირითადი ფუნქციაა ავღანეთის ხელისუფლების დახმარება უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, ავღანეთში 64 500 ადამიანს მოითხოვს. მათ შორის 29 950 ამერიკელია.

კარიბატურული კრიზისი

რასმუსენის ოთხწლიანი ვადის დასაწყისი ემთხვევა დასავლეთის შეფოტების გაძლიერებას ისლამური ექსტრემიზმის, ბირთვული იარაღის გავრცელების, ყოფილ საბჭოთა ტერიტორიებზე ნატოს გავლენის გაფართოების თვალსაზრისით რუსეთთან უთანხმოებისა და ენერგომომარაგების უსაფრთხოების თაობაზე.

გენმდივანს წაადგება პოლიტიკოსის გამოცდილება, მას შეუძლია, თავის სასარგებლოდ გამოიყენოს შტაბებისა და ევროპული მოკავშირეების ურთიერთობის გაუმჯობესება, რაც ობამას გაპრეზიდენტების შემდეგ დაინიშნა, — ამბობენ ექსპერტები.

იგი უკვე შეუდგა ისლამურ სამყაროსთან ურთიერთობაში ხარვეზების აღმოფხვრას, სადაც ნატოს ჯარები შეიძლება უსაფრთხოების სერიოზულ პრობლემებს გადააწყდნენ (2006 წელს დანიურ გზაზე გამოქვეყნებული წინასწარმეტყველ მუშაშედეგის კარიკატურების გამო).

მუსლიმანური თურქეთი (ალიანსის წევრებიდან ერთ-ერთი) თავიდანვე მისი დანიშვნის წინააღმდეგ გამოვიდა და გაკრიტიკება დაიწყო, რადგან მან არ ბოიკოტა იმ კარიკატურების გამო, რომელთა გამოქვეყნებამაც მუსლიმანურ ქვეყნებში არეულობა და უკმაყოფილება გამოიწვია.

თურქეთი დაიწყო ნატოს 60 წლისთაზე ობამას სიტყვით გამოსვლისა და რასმუსენთან დაკავშირებით კონსენსუსის მიღწევის შემდეგ.

თურქეთთან დაკავშირებით სწორი დამოკიდებულების უზრუნველყოფა არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება მისი კიდევ ერთი პრიორიტეტული ამოცანის შესასრულებლად — ნატოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის გაძლიერების თვალსაზრისით. ურთიერთობა ანკარასა და ევროკავშირის წევრ კვიპროსის შორის კონფლიქტის შემდეგ დაიძაბა. ეს უთანხმოება ერთ-ერთი პრობლემატანაა თურქეთის ევროკავშირში შესვლის გზაზე.

რასმუსენს, რომელიც 2003 წელს ერაყში ამერიკელების შეჭრას უჭერდა მხარს, არანაკლები პოლიტიკური ოსტატობა დასჭირდება რუსეთთან მიმართებაშიც, რომელთან კავშირებიც ნელ-ნელა გამოსწორებას იწყებს (ნატოს წევრობის კანდიდატთან — საქართველოსთან მარშანდელი ხანმოკლე ომის შემდეგ).

„ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნონასწორებაა“, — თქვა მან, — „ამას წინა გენმდივანებიც ცდილობდნენ“.

ნატოს პრესმდივანმა ჯეიმს აპატურაიმ (James Appathurai) აღნიშნა, რომ ალიანსის აღმოსავლური ექსპანსიის გამო რუსეთის უკმაყოფილებისა და უკრაინისა და საქართველოსთვის განსაკუთრებული წინააღმდეგობის შეთავაზების გამო მისი გალიზიანების მიუხედავად, ნატოს კარი ღია რჩება ყველა ყოფილი საბჭოთა ქვეყნისთვის, ვინც კრიტიკურად აკმაყოფილებს.

პოლიტიკური გამოცდილება

კარლ-ჰაინც კამპა (Karl-Heinz Kamp), ნატოს თავდაცვის კოლეჯიდან, თქვა, რომ რასმუსენის პოლიტიკური გამოცდილება მას უნდა წაადგეს (თავიდან მაინც) ისეთ მნიშვნელოვან პირებთან პირდაპირ ურთიერთობაში, როგორცაა საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი (Nicolas Sarkozy) და გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი (Angela Merkel).

„როგორც ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ის თავის ალქმამში გავლენისა და ძალაუფლების სულ სხვა სიმაღლეზე იქნება“, — თქვა მან.

„იგი მიჩვეულია უშუალოდ სახელმწიფოს მეთაურებთან ურთიერთობას, ამ სამყაროს „სარკოზისა“ და „მერკელს“ იცნობს. ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ მას სიტუაციის შეცვლა შეუძლია, რაც მისი წინამორბედებისთვის ურთულეს ნარმოადგენდა“.

გამოცდილება მას ხელს შეუწყობს ალიანსის სტრატეგიული ამოცანების ახალი დოკუმენტის შემუშავებაშიც, რომელიც ძველს — 1999 წლის დართილემის შეცვლის.

დოკუმენტში, რომელიც უნდა მიიღონ ნატოს სამიტი შემადგენელი წევრები, საუბარი იქნება ნატოს უსაფრთხოების ძირითად საკითხებზე, მათ შორის, რუსეთთან ურთიერთობაზეც, ასევე, ისეთ პრობლემებზე, როგორცაა საქსპედიკი და თავდაცვითი სამხედრო ძალებს შორის ბალანსის ძებნა.

მას, ასე — ვემშვიდობებით იაპ დე ჰოოპ სხეფერს და ვეგებებით რასმუსენს. თუ გავითვალისწინებთ, რომ კარგი ან წარმატებული გენსაკი არ არსებობს, სხეფერი ცუდი არ

ყოფილა. შეუმჩნეველი პოლიტიკოსი თავის სამშობლოში (ნიდერლანდში) ნატოს გენმდივნის პოსტზეც ასეთივე რჩებოდა — გულითადი, კეთილგანწყობილი, ინტელიგენტური და უსასრულოდ არაეფექტური. არადა, გულახდილად რომ ვთქვათ, ერთი კაცი ვერასდროს შეძლებს, ნატო ავღანეთში ეფექტური გახადოს, ისევე, როგორც ვერ შეძლებს, უხელმძღვანელოს ორგანიზაციას, რომელიც არ ჩამოყალიბებულია და მზად არაა არაკონვენციური მონინაალმდევეცისთან მასშტაბური ექსპედიციური ომის საწარმოებლად.

ნატოს გენმდივნის ვაკანსია 5 წლის წინათ მოულოდნელად განთავისუფლდა, როცა ნატოს მაშინდელმა ხელმძღვანელმა ჯორჯ რობერტსონმა გადაწყვიტა, აღარ გაეგრძელებინა მისი ამ თანამდებობაზე ყოფნის ვადა. სხეფერს, რომელიც მაშინ ნიდერლანდის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო და ემხრობოდა თავისი ქვეყნის მონაწილეობას ოპერაცია „ერაყის განთავისუფლებაში“, მხარი დაუჭირა შეერთებულმა შტატებმა. მის წინააღმდეგ სერიოზულად არც არავინ გამოხსულა. ეს ნაწილობრივ ვაკანსიის ცუდ დროს განთავისუფლებამ გამოიწვია. პოლანდია ხშირად იკავებს ხოლმე ასეთ „უდროო“ პოსტებს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ არასაკმარისად დიდია, ვინმე შეურაცხყოფს, და მეორეც — არცთუ ისე პატარაა, რომ გვერდზე დარჩეს. საგარეოდ, სწორედ ასე მიიღეს ეს გადაწყვეტილება — ევროპის სახელმწიფოებიდან უმრავლესობა მიხვდა, რომ ნატო — ეს აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის, გარკვეულწილად, უიმედო ორგანიზაციაა და, შესაბამისად, არცთუ ძალიან დაინტერესებულან, ვინ უხელმძღვანელებდა მას.

სხეფერს არ შეეძლო, ეს ტენდენცია არ გაეცნობოდა, ვინაიდან სწორედ ეს იყო ძირითადი მიზეზი ლორდ რობერტსონის პოსტიდან წასვლისა — მან იცოდა, რომ ორგანიზაციის მხარდაჭერაზე პოლიტიკური ნება არ არსებობდა, რომ აღარაფერი ვთქვათ ომის მხარდაჭერაზე. მეტიც, მან იცოდა, რომ ცივი ომის შემდგომი ევროპის გულცივობის გარდა, ამ სიტუაციის შექმნა გამოიწვია ძალზე საინტერესო გარემო-

ებამ — 11 სექტემბრის შეტევების შემდეგ ნატოს განაშტაბირდა ალიანსმა პირველად და ერთადერთად ახსენა შეთანხმების მეხუთე მუხლი, რომლის თანახმადაც, შეიარაღებული თავდასხმა ალიანსის ერთ-ერთი წევრის ქვეყანაზე ალიკემა ყველაზე თავდასხმად და რომ ნატოს ყველა წევრმა ქვეყანამ უნდა მიმართოს „აუცილებელ ზომებს, მათ შორის, შეიარაღებული ძალების გამოყენებას ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წინაშე უსაფრთხოების აღდგენისა და მხარდაჭერისთვის“.

ეს ყველაზე დიდი ძალაა, რაც შეიძლება ალიანსმა გამოიყენოს, და ნათელია, რომ ყველა წევრი-სახელმწიფო ვალდებული იყო, თავიანთი მოვალეობები საომარი მოქმედებებით განემტკიცებინა.

სამწუხაროდ, მაშინ, როცა აშშ-ს დიპლომატიურმა კორპუსმა ვაცცნობიერა ამ შესუსტების სიღრმე, პოლიტიკური ხელისუფლება ამისთვის მზად არ აღმოჩნდა. მან უარი განაცხადა შესტზე და უპირატეობა მიანიჭა რამდენიმე მოკავშირესთან ერთად დამოუკიდებლად მოქმედებას კონცეფციის „მისია განსაზღვრავს კოალიციას“ ჩარჩოებში. როგორც ნატოს გენმდივნის თანამემხმე თავდაცვითი პოლიტიკის დარგში ედგარ ბაკლიმ (Edgar Buckley) განმარტა, ეს იყო „ალიანსის ბუნების პრინციპული დაუფასებლობა, რაც სტრატეგიული სოლიდარობის მნიშვნელობის გაუფასურების მიზეზი გახდა“.

ასე რომ, მათ პესიმიზმს ვიზიარებ, ვინც თვლის, რომ აშშ-ს თალიბანსა და ალ-ქაიდასთან დაკავშირებით მოქმედებაში ალიანსის ჩასართავად მეტის გაკეთება შეეძლო“.

მაგრამ აშშ-სა და ნატოს ცუდი დამოკიდებულება ამით არ დამთავრებულა: ავღანეთის თალიბანისგან განთავისუფლების შემდეგ კოალიციამ ამერიკელების მეთაურობით სტრუქტურისადმი ინტერესი დაკარგა. აშშ-მ ავღანეთი მსოფლიო საზოგადოებრიობას 2001 წლის დეკემბერში ბონში გამართულ შეხვედრაზე გადასცა. ამ შეხვედრის შედეგად შეიქმნა გაეროს საერთაშორისო ძალების მანდატი უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობაზე, ყოველგვარი ინსტიტუციონალური ბაზის გარეშე, რომლის მეთაურობაც პირველ ექვს თვეს დიდმა ბრიტანეთმა ითავა, შემდეგ კი — თურქეთმა. ნატომ გადაწყვიტა, პასუხისმგებლობა აეღო 2003 წლის მისიაზე, მაგრამ არცთუ ბოლო მომენტში (ვინაიდან იგი უკვე უძლური შეიქმნა თავისუფალი ცურვის სტრუქტურის თვალსაზრისით) ალიანსის წევრები კოორდინირების გარეშე ერთ-ერთად იმართებდნენ. ამას გარდა, შტატებმა ძლიერი ზეწოლა დაიწყეს თავის მოკავშირეებზე, განსაკუთრებით, ორგანიზაციის ცენტრალურ ევროპულ და სამხრეთ-აღმოსავლურ წევრებზე, რათა მათთვის სწორედ ამის გაკეთება ეიძულებინა.

ერთიანი უსაფრთხოების საერთაშორისო ძალებზე ნატომ ხელმძღვანელობა ოფიციალურად 2003 წლის აგვისტოში ჩაიბარა. ნაკლებსავარაუდოა, რომ ამაზე ყველა მოკავშირე შეთანხმებული იქნებოდა, რომ აშშ, ისევე ბრიტანეთთან და რამდენიმე სხვა სახელმწიფოსთან ერთად, 2003 წლის მარტში ერაყში შევიდა. შეჭრის თაო-

ბაზე ალიანსში აზრები, მსუბუქად რომ ვთქვათ, გაიყო. ამ ფაქტმა, ბუნებრივია, ხელი შეუშალა ავღანეთში ნაყოფიერ თანამშრომლობაზე ლაპარაკსაც კი. ამას გარდა, მისი კონცეფცია და ზომები გამუდმებით იცვლებოდა: თავიდან ძალებს უსაფრთხოება უნდა უზრუნველყოფოთ ქაბულსა მის შემოგარენში, მაგრამ 2003 წელს უსაფრთხოების საბჭომ მანდატი მთელი ქვეყნის მასშტაბით გააფართოვა. პირველი მისიის განხორციელებაში ბევრ ქვეყანას როდი სურდა მონაწილეობა, მაგრამ, საერთო ჯამში, მათმა რიცხოვნობამ აღდგენის სამოქალაქო ჯგუფების რაოდენობას გადააჭარბა, რომელიც აბსოლუტურად არაკოორდინირებულად მოქმედებდნენ. სამხედრო გავართობა ნიშნავდა, რომ ძალთა გადანაწილება ყოველთვის ლოგიკურად არ ხდებოდა, თანაც, ძალების განხვევას ნებისმიერი მიზეზით ახდენდნენ — პროცესი მხოლოდ 2006 წლის ოქტომბერში დამთავრდა. ამ დროს კი თალიბანი ტერიტორიებს იპყრობდა და ავღანელი ხალხის მმართველობას ისევე ხელში იგდებდა, რაც ნიშნავდა, რომ ქვეყნის მრავალ რეგიონში უსაფრთხოების აღდგენის მისია საომარ ამოცანებში გადაიზარდა.

ამ ქრონოლოგიებისა და ცნობების ცოდნა აუცილებელია — ისინი განმარტავს იმ საბავლე წუშებს, რომელშიც ნატო ზის დღეს ავღანეთში: ნატო იქ ალიანსის სოლიდარობის მნიშვნელობის გაუფასურების მიზეზი გახდა.

სადაც ატლანტიკის ორივე მხარე წარსულის დავიწყებას ცდილობს, რჩება მოკავშირეების ერთმანეთისადმი ფუნდამენტური უნდობლობა — პირველი ოგმი, ლიდერობას ავღანისის მიზეზებით. ამ ყველაფერს ნატოს სამხედრო ხელმძღვანელობისა და მართვის სტრუქტურის არქაულთა ცოდნა ალბათ დაეხმარება, რომელიც ავღანეთშია.

სადაც ატლანტიკის ორივე მხარე წარსულის დავიწყებას ცდილობს, რჩება მოკავშირეების ერთმანეთისადმი ფუნდამენტური უნდობლობა — პირველი ოგმი, ლიდერობას ავღანისის მიზეზებით. ამ ყველაფერს ნატოს სამხედრო ხელმძღვანელობისა და მართვის სტრუქტურის არქაულთა ცოდნა ალბათ დაეხმარება, რომელიც ავღანეთშია.

სხეფერმა ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო, რომ ამ მღვრიე წყალში მართობისთვის თავი გაერთიანა, მაგრამ მას არც ინსტიტუციური ძალაუფლება ეყო და არც ქარიზმა, რათა აშშ და ჯოჯოხეთი ევროპელები ელემენტარული შეთანხმების აუცილებლობაში დაერწმუნებინა, რომ აღარაფერი ვთქვათ დიდ პასუხისმგებლობებსა და პოლიტიკურ ნებაზე.

რასმუსენს ამ პრობლემებთან ბრძოლა უფრო ეფექტიანად შეუძლია, მიუხედავად იმისა, რომ ომის გაძლიერებასა და მსხვერპლის რაოდენობის ზრდასთან ერთად, მისი მანქანა კლებულობს, მაგრამ თუ იგი ჩაგარდა, შესაძლოა, ისტორიაში შევიდეს როგორც ნატოს უკანასკნელი გენერალური მდივანი.

პაპილად ლასო ლაპიპილად

იალონი და გრდანი

სამხრეთი

გაზეთის მკითხველს, ვინც წინა მოგზაურობაში გამოგვყვა, ემასხოვრება, რომ დიდთოვლობის გამო თეზმის ხეობას ბოლომდე ვერ ავყევით და ცხვარიჭამიაში ჩვეულებრივი გზით — გლდანის ხევიდან გადავწყვიტეთ ასვლა.



გლდანის (გრდანის) ძველი ეკლესია

მართალია, ვახუშტი ბატონიშვილს გლდანი (გრდანი), ხერკთან ერთად, საერთო სამანებში აქვს მოქცეული თავის რუკაზე, მაგრამ ეს იმის გამო, რომ მაშინ ორივე ხეობას „უნოდებენ საგურამოს... გურამიანთა (ე.ი. გურამიშვილთა სათავადოს — ე.ქ.) გამო“. ძველი ტრადიციით კი, თუმცა ორივე ხეობა კახეთის სამეფოში შედიოდა, ხერკი უფრო ეთნარქ კახოსს ეკუთვნოდა, გრდანი კი — კუხოსს. ნიშანდობლივია, რომ ზედაზნის მთას, ვახუშტისავე განმარტებით, უფრო ძველად სწორედ კუხეთის მთა ერქვა. ზედაზნისა თუ კუხეთის ამ მსაზღვრელ მთას კიდევ ერთი სახელწოდება შემორჩა: იალონი, ანუ, როგორც დღეს გამოგვითვამთ, იალონი. სულხან-საბას განმარტებით „იალონი“ იგივე ალიონია, ვახუშტი კი მას სხვაგვარად ხსნის: „იალონი — ნოდებელი ამისთვის, რამეთუ თუცა მას მთასა ზედა არს მცირეცა ღრუბელი ანუ ნისლი, არა იქმნების, თუმცა არა აღმოვიდეს ფიცხელი ქარი დიდი“. და მართლაც, ი, ვინც ზედაზნზე ხშირად ნამყოფი, დაგვიბრუნებდა, რომ აქ დიდი ქარი იმეფებოდა და ამიტომ მის თავზე ყოველთვის მცირე ნისლი და ღრუბელი წევს; ცაზე მცირე ღრუბელს კი იალონი ჰქვია.

უგო. ავჭალის ახლომახლო სხვა საინტერესო ისტორიული ძეგლი არ არსებობს, რასაც ვერ ვიტყვი გლდანზე. აქ, უშუალოდ სოფელში, სამი ეკლესიაა. ამათგან ერთი XIX საუკუნისაა, ორი კი — საკმაოდ ძველი. სოფლის სამხრეთით, ახალ სასაფლაოზე რომ VIII-IX საუკუნეების ღვთისმშობლის ეკლესიაა, ძალიან ცუდადაა აღდგენილი, იმდენად ცუდად, რომ გარედან არაქაულობის არანაირი პენი აღარ დაკრავს. სანაცვლოდ ჩვენი შემოქმედებითი ჯგუფი აღაფრთოვანა სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთ უბანში, ცხვარიჭამია-თიანეთისაკენ მიმავალი გზის მარცხენა ნაპირზე, იალონის სამხრეთ კალთაზე ნამომართულმა წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის სამეკლესიანმა ბაზილიკამ. იგი XIX საუკუნეში დასავლეთის მხრიდან ორი კონტროლორსით გაუმაგრებიათ, ახლა კი შემდგომი განახლების პროცესშია. აღდგენილია ჩრდილოეთ სამლოცველო და მიმდინარეობს ჩრდილოეთ სათავისი შეკეთება, რომელსაც დასავლეთიდან დამოუკიდებელი შესასვლელი ჰქონია. დაწყებულია სამხრეთ სამლოცველოს აღდგენაც.

მთავარი, ცენტრალური ეკლესიის შიდა სივრცე ვიწრო და ზემსწრაფია. იგი საკმაოდ მაღალი (8 მ.) და გრძელია (9,5 მ.), მაგრამ სიგანეში — მცირე (4,5 მ.). სამხრეთის კედელში თაღებით გამაგრებულ კამარში გაჭრილ ხერგელს სამალავში ავყავართ.

ტაძარი, რომელიც კარგად გათლილი ქვიშაქვის კვადრებითაა ნაგები, იმთავითვე ამხელს თავის არქაულობას. მართალია, მას ჩუქურთმები არ აქვს, მაგრამ თვალისაყვამია სხვა რამ: ქვათა თლიმიმდინარეობს ჩრდილოეთ და დასავლეთის მხრებზე, რომელიც სათავისი შეკეთებას, რომელსაც დასავლეთიდან დამოუკიდებელი შესასვლელი ჰქონია. დაწყებულია სამხრეთ სამლოცველოს აღდგენაც.

პირვანდელი სახით მხოლოდ ცენტრალური ეკლესიაა შემორჩენილი, რომელშიც ამჟამად მხოლოდ სამხრეთის კარიდან შეიძლება მოხვედრა, ადრე კი დასავლეთის კარიც ჰქონია. გარდა ამისა ცენტრალური ეკლესიიდან ჩრდილოეთ სამლოცველოში ორი კარი გადის: ერთი — უშუალოდ დარბაზიდან, მეორე — საკურთხევლის ღრმა, ნახევარწრიული აფსიდისაგან. აქედან კიდევ ერთი კარი სამხრეთ სამლოცველოშიც გადიოდა.

მამულში იყო მოქცეული, ნაწილი — „სვეტიცხოვლისაში“. მართალია, ტაძარზე ქტიტორული ან სხვა რაიმე ნარჩენი შემორჩენილი არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ იგი კახეთის ქორეპისკოპოს-მთავრების ფაღლა პირველის ან კვირიკე პირველის ზეობის ფაშს — IX-X საუკუნეთა მიჯნაზე აგებული. მაშინ იგი თბილისის საამიროს ჩრდილოეთ საზღვარზე მდებარეობდა.

სანამ გლდანის მამკო-დამდე მივიდოდით, ხელმარცხნივ მცირე გრუნტის გზა შედის. ცოტას გავივლით და წყაროს სიახლოვეს ეს გზაც ორად იყოფა. ჩვენ ჩრდილოეთის მიმართულ გზას ვირჩევთ და იალონის სამხრეთ კალთის სიღრმეში შევდივართ. ეს ადგილები მზის გულზეა და თებერვლის თოვლს თავი ვერ შეუნახავს. ეს ვეჯინისხევი. მის ზედა ნელზე საავარაკო დასახლებაა. ხუროთმოძღვრულ კომპლექსს ამაოდ დავეძებთ და ის-ისაა სატელევიზიო ჯგუფის ნეგრები ხელმოცარულები გამოპრუნებას ვაპირებთ, რომ ბედად ცნობილი მსახიობი და რეჟისორი სოსო ჯაჭვლიანი შემოგვხვდება. იგი უმეტესად ამ აგარაკზე იმყოფება ხოლმე და აქაურობას კარგად იცნობს. უფრო მეტიც — ერთ-ერთი ეკლესიის აღდგენისათვის, სხვებთან ერთად, მასაც გამოუდია თავი.

მე გამოგყვებით, — გვანუგებებს იგი, — თქვენი მანქანით ორ უმთავრეს ძეგლს ზედმიჯავებთ, მესამესთან კი ფეხით მოგვინევს ასვლა. საჭესთან მჯდარი ალექო დათებაშვილი თავის „სტიოტას“ წინა ხიდსა და გამაძლიერებელს ურთავს და ტყის დამბალ გზას ღმუილით მი-

ვუყვებით. ერთგან ხეცს გადავდივართ და უღრანში ვუჩინარდებით... საქართველოში ორი ვეჯინი ანუ ვეჯინია, ერთი — აქ, მეორე — გურჯაანთან. ეს ძველი კუხეთის ვეჯინია, ის — ძველი ჰერეთისა. „ქართლის ცხოვრებაშიც“ ორჯერ გვხვდება „ვეჯინი“, ერთხელ — X საუკუნის დასაწყისში, როცა იგი აფხაზეთის მეფემ კონსტანტინე მესამემ დალაშქრა (ამის დამადასტურებელი, 906 წლით დათარიღებული, ნარნერა ერედვის ბაზილიკის კარიბჭის სვეტზეა ამოკვეთილი), მეორედ — XI საუკუნის 80-იან წლებში, როცა მეფე გიორგი მეორე მიადგა, მაგრამ ალყა მალე მოხსნა. პირველ შემთხვევაში უეჭველად ჰერეთის ვეჯინია ნაგულისხმევი. აქამდე არსებული დასკვნით ასეა მეორე შემთხვევაშიც, მაგრამ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ერთი წინადადება მცირედ აღდგენილია: „და ჟამსა სთოვლისა მოვიდეს კახეთად (გიორგი II — გ.ქ.) და მიადგეს ციხესა ვეჯინისასა და ვიდრე ბრძოდეს, მოვიდა თოვლი, ხოლო მეფესა გიორგისა მოხსენა ნადირობა აჯამეთისა, არღარას ზრუნვიდეს სხუასა, არცა ელოდა აღბასა ვეჯინისასა და კახეთისა...“ აქედან, თითქოს, იხეჩანს, რომ გიორგი კახეთში ვერ შევიდა, რადგან ჯერ ვეჯინია ნახსენები და მერე — კახეთი. ძველი მემატიანეები კი ასეთ წერილობანებს შემთხვევით არ აქცევდნენ ყურადღებას. ესეც არ იყოს, თუ კახეთს ვერ დაიმორჩილებდა ჰერეთის ვეჯინის როგორ მიადგებოდა გიორგი მეორე? ხომ შეიძლება, რომ მეფე კუხეთის ვეჯინს მიადგა, საიდანაც შემოკლესი გზა კახეთის ორი უდიდესი ცენტრისკენ — ჟაღისა და უჯარმისაკენ მიდიოდა, მერე კი ჰერეთიც ახლომყოფი? შეიძლება ეს თამამი ვერსია ფურნალისტურ თავის გამოჩენად შერაცხონ, მაგრამ ეჭვიც რომ არსებობს?..

— აი, ეს არის ძეგლი! — ფიქრებიდან გამოვყავარ სოსო ჯაჭვლიანს, — ნახეთ, რა სიმდიდრის პატრონები ვართ! გვაკებულ ტყიან ბორცვზე მარცხნივ და მარჯვნივ დიდი ნანგრევებია, ანუ როგორც ვახუშტი ბრძანებს ხოლმე „დიდშენია“: პირველი სასახლე ყოფილა, მეორე — ეკლესია. დანგრეული სასახლე საკმაოდ მოზრდილია: სიგრძეში 26 მეტრი, სიგანეში — ლამის 10 მეტრი. პირმოსწრეული ლოდებით ამოყვანილ კედლებზე ხავსი გადადის. ნაგებობა რიყის ქვით აშენებულ ბაქანზე დგას, რომელიც სამხრეთიდან კონტროლს უზღობს.

...ერთი სიტყვით, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, გლდანის ხეობას შევუყვებით. მარცხენა მხარეს, ავჭალის თავზე, კლდეზე, ნამომართულია წმ. პავლეს სახელობის სამონასტრო ცხოვრებით ცხოვრობს. ეს ტაძარი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან კეტავს უძველეს „ჯაჭუს“ — ჯვრის მონასტრამდე გაჭიმულ ვიწრო ზეგანს — გრძელ მინდორს, სადაც II საუკუნის პირველ ნახევარში ფარსმან ქველმა პართიელებს ომი მო-



ვეჯინის ხევის კომპლექსი

ისტორიული მემკვიდრეობა და გეოლოგიური კანონზომიერება იტხოს

ნაილი გორა

დასაწყისი იხ. №24

ისტორიულ წარსულში, უწყვეტი ძნელებდობის უამს, საქართველოს მესაქეებს არა ერთხელ უცდიათ, ეპოვით დამხმარე და მოკავშირე არა მარტო ჩრდილოეთში, არამედ დასავლეთ ევროპაშიც. მას შემდეგ, რაც ოსმალ-თურქებმა ხელში ჩაიგდეს კონსტანტინეპოლი და ბოლო მოუღეს ბიზანტიის იმპერიას, საქართველოს და მთელ კავკასიურ საქრისტიანოს უმძიმესი ხანა დაუდგა. „1453 წლის 29 მაისის მსოფლიო გლობის ზარმა განსაკუთრებული ზარტყილობით საქართველოს ცის თავზე დარეკა, — წერდა ცნობილი მწერალი და ისტორიკოსი, პროფესორი ლევან სანიკიძე ქართველთა ისტორიულ-ეპიკური თავგადასავლის ოთხტომეულის — „უქარქაშო ხმლების“ მეორე ტომში (გვ. 255). დიდებულ საქმეს აკეთებს გაზეთი „ასავალ-დასავალი“ „უქარქაშო ხმლებს“ წლების მანძილზე ადგილს რომ უთმობს. საქართველოს ავტორისეული პოლიტიკური ბიოგრაფია დღევანდელ ქართველ პოლიტიკოსთათვის სამაგიდო წიგნს, ჭკუის მასწავლებელს უნდა წარმოადგენდეს: დასაწყისი, რომ ასე არ არის და ჩვენს პოლიტიკოსებს გეოპოლიტიკური სიბრძნისაგან თავი ვერა და ვერ დაუღწევიათ.

უკვე 1460 წელს მეფე გიორგი მერვედი და სხვა ძალებმა ერთობლივად გაგზავნეს ელჩები რომის პაპთან, გერმანიის იმპერატორთან და სხვებთან, რათა გაერთიანებული ძალებით „გამოესხნათ კონსტანტინეპოლი ველური ურჯულეობისაგან, მაგრამ ქართველთა ამ ჭაბანყვეტამ არავითარი შედეგი არ გამოიღო. კვლავაც გაგრძელდა „ევროპული გზის“ ძიება, როცა ქართლის მეფე კონსტანტინე მეორემ 1495 წელს ესპანეთის დედოფალ იზაბელას და რომის პაპს თავისი ელჩი აახლა, მაგრამ ეს მისია უნაყოფოდ დასრულდა. კახეთის მეფის — ალექსანდრეს მიერ მოსკოვის დიდ მთავარ ივანე მუსაშვილის მიერ 1491 წელს გაგზავნილ ელჩობასაც არ მოჰყოლია რაიმე წარმატება. სამაგიეროდ, ერთგვარად ნაყოფიერი აღმოჩნდა კახეთის მეფე ლევანის მიერ 1561 წელს რუსთა მეფე ივანე მრისხანესთან გაგზავნილი ელჩობის შედეგი. ივანე მრისხანის გამოგზავნილი რუსის ჯარის მთელი შვიდი წელი (1564-1571 წწ.) იცავდა კახეთის სიმშვიდეს. 1586-1589 წლებში კახეთის მეფე ალექსანდრე მეორემ ხელშეკრულება გააფორმა რუსეთის მეფე თევდორესთან, რამაც თურქეთის დიდი გალიზანება გამოიწვია.

მკითხველს მოვაგონებ, თუ როგორ უნაყოფოდ ჩაიარა სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობამ ევროპის ქვეყნებში, რომლებიც საქართველოს მძიმე გასაჭირის მიმართ საკმაოდ გულცივი აღმოჩნდნენ. მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორემ თავდაპირველად ყურადღება

საფრანგეთის, პრუსიის, ავსტრიის და ევროპის სხვა ქვეყნებისაკენ მიაპყრო; მათ შევლასა და ეფექტურ დახმარებას შესთხოვდა, მაგრამ ისინი კავკასიის ქრისტიანული ქვეყნის გასაჭირს საოცარი გულგრილობით მოეციდნენ. ბოლოს საქართველომ თავისი ბედი ისევ რუსეთს დაუკავშირა, რომელიც სულ უფრო მეტად იჭრებოდა სამხრეთისაკენ, კრიჭაში უდგებოდა თურქ-ოსმალეთსა და გეოპოლიტიკურად ახალ ვითარებაში აყენებდა როგორც საქართველოს, ისე მთელ კავკასიურ საქრისტიანოს.

ერეკლე მეორეს გზა გეოგრაფიკის ტრაქტატისაკენ და მისი შემდგომი წლების ძალიანსხვევა ისტორიამ გაამართლა, რამეთუ სწორი გეოპოლიტიკური ხედვა აღმოჩნდა, რომელმაც მუსულმანური საფრთხე, რომელიც გამაჰმადიანება-ასიმილაციით გვემუქრებოდა, თავიდან აგვახილავდა; 1799 წელს ქართლ-კახეთში რუსეთის ჯარის შემოვიდა, ხოლო ამ ფაქტიდან 100 წლის შემდეგ, 1899 წლის ნოემბერში, ილია ჭავჭავაძემ მისი შედეგები ასე შეაფასა: „ამ ღირსსახსოვარ დღედამ საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებსა და აოხრებთ საგან, და ცხრა ომისა და ბრძოლისაგან... გაქრა ცეცხლი, რომელიც სწავდა და ბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას... გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემამრწუნებელ სახსოვრად დაგვივრჩა“ (ილია ჭავჭავაძე, რჩე-

ული ნაწერები ხუთ ტომად; ტ. IV, თბ. 1987, გვ. 186). განა არ დაეჯერება ამ სიტყვების ავტორს, რომელიც ქართველმა ხალხმა თავის ეროვნულ მამად აღიარა? მეორე დიდ ქართველს — იოსებ სტალინს იმ უბედურებასთან შედარებით, რასაც ირანი და თურქეთი გვიქვამდა — საქართველოს რუსეთთან შეერთება ნაკლებ ბოროტებად მიაჩნდა; ბოროტებაში იგი ქართული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვას გულისხმობდა.

დაიხ, გეტანხმებით, ოპონენტებო, რუსეთის იმპერიამ დაიპყრო საქართველო; მან დამოუკიდებლობა დაკარგა, კოლონიად იქცა, მაგრამ ამ კოლონიამ, როგორც ნინა ნერილი გერმანელი ისტორიკოსი ანდრეას კაპლერზე დაყრდნობით გწერდით, ხალხის ძირითადი მასა უკეთესად დაეკვიდრებოდა, ვიდრე საკუთრივ რუსული მეტროპოლისის, ასევე, ძირითადი მასა. როგორც დიდი ილია იტყვოდა, ამ კოლონიამ სამი მთავარი სანუგეშო შემოვიწახეთ — ენა, მამული, სარწმუნოება. რას ნიშნავდა ეს? თქვენ თვითონ გაიანზრეთ და განსაჯეთ, დღეს ძია სემის მოსიყვარულე პატივცემული ოპონენტებო, როცა ენაც, მამულიც და სარწმუნოებაც დიდი საფრთხის წინაშე დგას; ვინ არის ყოველივე ამასი დამანაშავე? — ბრმა უნდა იყოს, რომ ვერ ხედავდეთ! მიგვაჩნია, რომ რუსული იმპერიის კოლონიალიზმის ერთგვარი „კაპლერისეული თვინიერება“ იმანაც განაპირობა, რომ დაპყრობილი თუ შემოერთებული მიწები უშუალოდ ეკვროდნენ რუსულ მეტროპოლიას და გეოგრაფიულად ერთ მთლიან მონო-



გიორგი გუშვიანი



ნურბაზრ ავალიანი

ლითურ ტერიტორიად იყო შეკრული — როგორც მეტროპოლია, ისე კოლონიებიც ერთნაირად გუბერნიებად იყო დაყოფილი. რადიკალურად განსხვავებულ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი ინგლისის თუ საფრანგეთის შემთხვევაში, სადაც მეტროპოლიებიც კოლონიებიც არა თუ ტერიტორიულად ეკვროდნენ, არამედ ადასობით კოლონიებშიც იყვნენ დამორებულინი სხვადასხვა კონტინენტზე. ამასთან, ხომ ცნობილია ანგლო-საქსთა გენოციდიური პოლიტიკა ამერიკელი ინდიელების, აფრიკელი ზანგების თუ სხვა ხალხთა მასობრივი ამოუღებლის სახით. მსგავს მგალითს, ბატონო ოპონენტებო, რუსეთისაგან ვერ მოიყვანთ.

უაღრესად სასარგებლო, ჭეშმარიტად ეროვნულ-პატივით და საქართველოს მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანის გზას ვთავაზობთ დღეს ახლად შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავკაცი ტარიელ გაგინძე და არასამთავრობო ორგანიზაციის „ისტორიული მემკვიდრეობის“ საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარე თემურ ქორიძე; მათ

ჭეშმარიტად საზოგადოებრივად ვთვლით. მარტო ის რადიკალი, რომ მათი ინიციატივით, კერძოდ, ბატონი თ. შორიძის რედაქტორობით უკვე შეკრებილი და გამოცემული XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ამსახველი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების კრებულები საერთო სათაურით „უამისხისა“. პოლიგრაფიული მიზიდველობით შესანიშნავად გამოცემული თითოეული მუგნი 100 გვერდს აჭარბებს. შინაარსით იმდენად ფასდებულია, რომ ყველა ოჯახში უნდა დაიდოს ბინა; ინტელექტუალურ-ანალიტიკოსთა სამაგიდო წიგნებად უნდა მივიჩნიოთ. აქვე უღრმესი მადლიერება უნდა გამოვხატოთ გამოცემის „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციის მისამართით, რომელიც თავის ყველა ნომერში კრებულთა ისტორიული მნიშვნელობის შესახებ გვახსენებს; თანაც, დაეძინეთ, რომ ჩვენს წერილში სათაურის ქვეშ დასმულ კითხვაზე — „რატომ რუსეთთან?“ დადებით პასუხს სწორედ რომ ეს დიდებული სერიალური იძლევა გაზეთი „საქართველო და მსოფლიოს“ ინტელექტუალურ-ანალიტიკურ პუნლიკაციებთან ერთად, რო-

მელთა ავტორებად, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ახალგაზრდა ჟურნალისტ-პუბლიცისტები: ტ. ბაბნიძე, ა. ხინდრიკაშვილი, ა. ჭყონიძე (საზოგადოება ერეკლეს გზის თავმჯდომარე), დ. შონიაშვილი და სხვები მოგვევლინენ.

შორეულ წარსულში, მეექვსე საუკუნის შუა ხანებში, ქრისტიანული ბიზანტია მახდებულ ირანს ეომებოდა. ამ ომში ბიზანტიის მოკავშირედ ქრისტიანული ევროპის ქართული ქვეყანა გამოდიოდა. ბიზანტიელმა სარდლებმა ევროპელებს გუზაზ მეფე მოუკლეს, რამაც, ბუნებრივია, ევროპელები ძალზე განარისხა. ისინი ორ ბანაკად გაიყვნენ: ერთი ნაწილი აიტიეს მეთაურობით, ბიზანტიასთან კავშირის გაწყვეტას და ირანთან დაკავშირებას მოითხოვდა, ხოლო მეორე — ფარტაქის მეთაურობით, მიუხედავად დიდი წყენისა, ისევ ბიზანტიასთან დარჩენის მომხრე იყო. ამ პაექრობაში ფარტაქის მოსაზრებამ გაიმარჯვა. გამარჯვების საფუძველი კი ბიზანტიელთა და ევროპელების ქრისტიანული ერთმორწმუნეობა გახდა.


დღეს, როცა რუსეთსა და საქართველოს კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა-განვითარების ერთ-ერთ მთავარ საყრდენად ქრისტიანული ერთმორწმუნეობას ასახელებენ, ეს ჩვენი პრეზიდენტის გალიზანებას იწვევს, რაც პარლამენტში მიიწვია ამასწინანდელი გამოვლილსა ნათლად გამოვლინდა; მ. სააკაშვილი ანტიქრისტიანული გაულტრდა, მისთვის რუსეთისა და საქართველოს ერთმორწმუნეობა არაფერს ნიშნავს.

რატომ რუსეთთან? ამ თემაზე კვლავაც გვექნება საუბარი მორიგ, მესამე წერილში.

პოლიტოლოგები:
გიორგი გუშვიანი,
ნურბაზრ ავალიანი
ქუთაისი, 2009 წ.

არასამთავრობო ორგანიზაცია — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოცდა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს ახსავს. კრებულში გამოცემულია მრავალი უცნაური ფაქტობრივი დოკუმენტი, რომელიც ახსნის ისტორიული მნიშვნელობის შესახებ გვახსენებს; თანაც, დაეძინეთ, რომ ჩვენს წერილში სათაურის ქვეშ დასმულ კითხვაზე — „რატომ რუსეთთან?“ დადებით პასუხს სწორედ რომ ეს დიდებული სერიალური იძლევა გაზეთი „საქართველო და მსოფლიოს“ ინტელექტუალურ-ანალიტიკურ პუნლიკაციებთან ერთად, რო-

„სხელი აპრილი, 2008“



პოლიტოლოგების — ნურბაზრ ავალიანის და გიორგი გუშვიანის წიგნი „სხელი აპრილი, 2008“ პირველი ორი ნაშრომით ავტორებმა ვერ კიდევ 2008 წლის დეკემბერში მოამზადეს დასაბეჭდად, მაგრამ გამოქვეყნებისგან თავი შეიკავეს იმის იმედით, რომ დაპირისპირებული მხარეები გონიერებას გამოიჩინდნენ და პრობლემებს მშვიდობიანად მოაგვარებდნენ. „მაგრამ ახლა, როდესაც ვრწმუნდებით, რომ მხარეებს შორის ურთიერთობები კიდევ უფრო იძაბება და არც ომის განახლების საფრთხეა დაძლეული, ხოლო ამ საქმეში ახლახან მოსკოვში რუსეთისა და აშშ პრეზიდენტების შეხვედრამ სასურველი პერსპექტივა რეალობად ვერ აქცია, გადაწყვიტეთ, საქოთის აქტუალობიდან გამომდინარე, გამოვაქვეყნოთ ჩვენი ნაშრომი პირველყოფილი სახით და მას დაუშვავთ ჩვენი ერთობლივი წერილი, რომელიც დაინერა აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის — ნატოს შექმნის შემდეგ წლის-თავთან დაკავშირებით“ — ნათქვამია წიგნის შესავალში. ავტორები იმედოვნებენ, რომ მათი ერთობლივი შრომა მცირედ წვლილს შეიტანს საქართველოს გადარჩენის, ქართველი ერის გეოპოლიტიკური აზროვნების განვითარების საქმეში.



მსოფლიო კრიზისის გამო მდიდარი პენსიონერებისთვის განკუთვნილ ბრიტანულ ელიტურ დასახლებაში პანსიონ ჰოუმბრიჯში ერთადერთი მცხოვრებია.

რატომ არაჰინ კარგულს ელიტურ პანსიონს?




ესეკის საგრაფოში ელიტური დასახლების მშენებლობა 6 მილიონი ფუნტი სტერლინგი დაჯდა. ჰოუმბრიჯი მხოლოდ 55 წელს გადაცილებულთათვისაა განკუთვნილი. თითოეული მცხოვრებლისთვის გათვალისწინებულია რესტორნის დონის კვება და სპორტდარბაზი, აგრეთვე, მებალის,

მძღოლისა და დამლაგებლის მომსახურება. დასახლებაში სულ 34 სახლია. ერთსაძინებელიანი სახლები 230 ათასი ფუნტი სტერლინგი ღირს, ორსაძინებელიანი — 289 ათასი, სამსაძინებელიანი — 525 ათასი. 34 სახლიდან მხოლოდ ერთია დაკავებული. ამ დრომდე ერთადერთმა ადამიანმა გაიმეტა აღნიშნული

თანხა მდიდრულ უბანში ცხოვრებისთვის. ყოფილი მძღოლი ლეს ჰარინგტონი ჰოუმბრიჯში 2007 წლის ოქტომბერში დასახლდა. მაშინ ის დასახლებული პუნქტის პირველი მცხოვრები გახლდა, ახლა კი, უკვე ორი წელია, ინარჩუნებს ერთადერთი მოზინადრის ტიტულსაც. 86 წლის ჰარინგტონი ყველაფერს ეკონომიკურ კრიზისის აბრალებს და ვინაიდან მეზობლებს ჯერაც ვერ ეღივსა, მხოლოდ მომსახურე პერსონალთან აქვს ურთიერთობა, სამაგიეროდ, ამაში არ უმტყუნა ბედმა და მებალე, მცველი და შინამოსამსახურე არაჩვეულებრივი ადამიანები გამოდგნენ. მოხუცს მაინც ძალიან უნდა, რომ გვერდით მდებარე სახლებში მეზობლები ცხოვრობდნენ. პანსიონატის მეპატრონეებს ისეა დარჩენიათ, 55 წელზე ნაკლები ასაკის ადამიანებს დაუშვან სახლების გაყიდვა, თუმცა ეს რამდენად გააცოცხლებს მათ ჩამკვედარ ბიზნესს, ჯერ არავინ იცის.

ევროკავშირის მოსახლეობას ინტერნეტი არ უყვარს?

ევროკავშირის ქვეყნების მოსახლეობის ერთ მეოთხედს ცხოვრებაში ერთხელაც არ უსარგებლია კომპიუტერით. ეს მონაცემი დაფიქსირდა ბოლო ხუთი წლის მანძილზე ციფრული ტექნიკის გამოყენების ტენდენციების კვლევის შედეგად.



ევროკავშირელთა ერთი მეხამედი, რომელსაც კომპიუტერი და ინტერნეტი ცხოვრებაში ერთხელაც არ გამოუყენებია, ირწმუნება, რომ ამის საჭიროება არ აქვს. მეოთხედი კი ციფრულ ტექნოლოგიებს ფუფუნებად თვლის და სიძვირის გამო არიდებს თავს მათ შეძენასა და გამო-

ყენებას. მონაცემთა მიხედვით, ევროკავშირის ქვეყნებში ინტერნეტს, ძირითადად, და ყველაზე აქტიურად 65 წელს გადაცილებული უმუშევრები ნყალობენ. 2004-დან 2008 წლამდე ინტერნეტის რეგულარულ მომხმარებელთა რაოდენობა ევროკავშირში თითქმის მოსახ-

ლეობის მეხამედს გაუტოლდა, შარშან მსოფლიო ქსელთან ურთიერთობა მოსახლეობის 56%-ს ჰქონდა. 16-დან 24-წლამდე ასაკის მოსახლეობის 73% ინტერნეტს ყოველდღიურად იყენებს, მაგრამ, ამავე დროს, ისინი ყველაზე ნაკლებად არიან ამ მომსახურების საფასურის გადამხდელი. უფრო მეტიც, ახალგაზრდობა, მიეწვია რა ინტერნეტიდან „უფასოდ“ გამოქაჩვას, საერთოდ არ ფიქრობს, რომ მუსიკის ან ფილმისთვის რაიმე უნდა გადაიხადოს. იმავე ტიპის კვლევის მიხედვით, რუსეთში 12 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობის 54%-ს ინტერნეტით არასდროს უსარგებლია.



რას არჩიან მუსლიმანები «შალკეს» ჰიენს?



გერმანელი მუსლიმანები საფეხბურთო კლუბ „შალკე 04“-ის ჰიენსის გამო განაწყენებულნი არიან და კლუბის ხელმძღვანელობისგან ჰიენსის ტექსტის შეცვლას მოითხოვენ.

საქმე ისაა, რომ ჰიენსის ერთ-ერთ სტროფში ნათქვამია: „მუჰამედი წინასწარმეტყველი იყო, მაგრამ ფეხბურთის არაფერი ვაგებოდა“. კლუბის ელექტრონულ ფოსტაზე აღმოფოთებული მუსლიმანების უამრავი წერი-

ლი მივიდა. მართალია, წერილებში ჰიენსიდან მხოლოდ წინასწარმეტყველის სახელის ამოღებას მოითხოვენ და არც ერთი ტექსტი არ შეიცვალა მუქარას, მაგრამ კლუბის ადმინისტრაციამ მაინც სერიოზულ საკითხად მიიჩნია

ეს შემოტევა და პოლიციას სთხოვა დახმარება. პარალელურად, კლუბის წარმომადგენლები დაუკავშირდნენ ისლამის საკითხთა ექსპერტს და შექმნილ სიტუაციაში დახმარება სთხოვეს.

რატომ აკვირდებიან ბრიტანელები ლატაკებს?



დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება გეგმავს, კიდევ ათასი არაჯანსაღი ოჯახი შეარჩიოს და მათზე სადღელამისო ვიდეოთვალთვალი დაანსოს.

კამერებმა უნდა აკონტროლოს, რომ ნარკოტიკებით ან ალკოჰოლით გატაცებული მშობლების ბავშვებმა სკოლებში იარონ, დროულად დაწვინდნენ დასაძინებლად, ნორმალურად იკვებონ და ასე შემდეგ. ამ

ყველაფრის პარალელურად შერჩეული სახლების მცველები პერიოდულად მოინახულებენ ბავშვებს, მათ მშობლებს კი ალკოჰოლიზმისა და ნარკოტიკებისაგან გათავისუფლებაში დაეხმარებიან. მსგავსი მეთოდით ამჟამად

მონიტორინგი 2 000 ოჯახს უტარდება. სამომავლოდ კი ეს რიცხვი 20 000-მდე მიაღწევს. მინისტრი დარწმუნებულია, რომ მუდმივი ვიდეოკონტროლი არაჯანსაღ ოჯახურ გარემოში აღზრდილ ბავშვებს ცხოვრების დამანაშაველბრივი გზის არჩევისაგან დაიცავს.

ბრიტანელ ქაშებს რიგაში აღარ ბააჭაჭანებენ?

დიდი ხნის განმავლობაში დაუქორწინებელი ბრიტანელი მამაკაცებისთვის შეკრებისა და დროსტარების ადგილად ტრადიციულად რიგა მოიაზრებოდა, ეს კი ტურისტებს აფრთხობდა. როგორც ჩანს, რიგელების მოთმინების ფიალა აივსო.



ქალაქის მერმა ნილ უშაკოვმა განაცხადა, რომ ყელში ამოუვიდა ბრიტანელთა თავაშვებულობა და ამზადებს ტურისტული პოლიციის სპეციალურ ქვედანაყოფს, რომელიც მათ წესრიგის დაცვას აიძულებს. მერის განცხადებით, ინგლისელი კურორტი ქალაქს იმიჯს უღაბავენ სწორედ მაშინ, როდესაც ლატვიის დედაქალაქი ლამის ტყავიდან გამოძვრეს ტურისტების მისაზიდად.



ტანელთა რაოდენობა 16%-ით გაიზარდა. ლატვია ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან შედარებით, მსოფლიო კრიზისმა ყველაზე მეტად დაზარალა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამან მხოლოდ მადა ორმაგად ააღძვრა იაფფასიანი ტურიზმის კლიენტებს.

33 წლის უშაკოვი განსაკუთრებით იმან გააბრაზა, რომ ეს დაუბატიყვებელი სტუმრები ქალაქის ცენტრში განთავსებულ ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა ხსოვნისადმი მიძღვნილ თავისუფლების მონუმენტს შეეჩვივნენ და ხშირად მასზე მიშვლები ცოცდებიან სურათების გადასაღებად.

მფლობელთა გამოკითხვას მოჰყვა. ამ გამოკითხვის შედეგების მიხედვით, სასტუმროებში ყველაზე ცუდად ბრიტანელები იქცევიან. მხოლოდ გასულ წელს საზღვარგარეთ დაპატიმრებულ ბრი-

ვინ უდაბლებს ქალებს ფესსაშვილის ქუსლებს?

ბრიტანული პროფკავშირების კონგრესის წარმომადგენლებმა ქალის ფესსაცმელზე ქუსლების დადებების კანონმდებლობის შემუშავების წინადადება წამოაყენეს. ამ ინიციატივის ავტორები, ძირითადად, მამაკაცები არიან და უკლებლივ ყველა მათგანი სერიოზულადაა შეშფოთებული ქალების ჯანმრთელობის მდგომარეობით.



საქმე ისაა, რომ მაღალქუსლიანი ფესსაცმლით მუდმივად სიარული სხადასხვა დაავადებას იწვევს და სწორედ ამ დაავადებათა გამო ყოველწლიურად ბრიტანელები ორ მილიონ სამუშაო დღეს აცდენენ. კონგრესის განცხადებაში ნათქვამია, რომ მაღალქუსლიანი ფესსაცმელი ძალიან მიმზიდველი და აუცილებელიც კია ნითელ ხალიჩაზე მოსიარულეთათვის, მაგრამ ყოველდღიურ სამუშაო გრაფიკში მათ გამოყენებას არანაირი დანიშნულება არ აქვს, პირიქით, ხელს უშლის მშრომელებს.

კონგრესის წევრები განსაკუთრებით აღმოფოთებულნი არიან იმ კომპანიების გამო, რომლებიც თანამშრომლებს მაღალქუსლიანი ფესსაცმლით სიარულს ავალდებულებენ.

პროფკავშირის აღნიშნული მიდგომა უკვე გააპროტესტა ბრიტანეთის პარლამენტის წევრმა, ქალბატონმა ნადინ დორისმა, რომელმაც განაცხადა, რომ თუ არა მაღალქუსლიანი ფესსაცმელი, თავისი 160-სანტიმეტრიანი სიმაღლის გამო, დიდი ხნის წინ ჩაიკარგებოდა პარლამენტარ მამაკაცთა შორის.

პროფკავშირი თვლის, რომ სამსახურბრივი მოვალეობის შესრულებისას ქალის ფესსაცმელის ქუსლი 4 სანტიმეტრს არ უნდა აღემატებოდეს, ხოლო თუ სამსახური ხანგრძლივად ფეხზე დგომას



რას გვიპირებს ღორის გრიპი?

ევროპაში ამ საშინელი სენით დაავადების დღეში 500-მდე ახალი შემთხვევა ფიქსირდება. მსოფლიოში კი ყოველდღიურად ეპიდემია 5 000-მდე ადამიანს ითრევს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წარმომადგენლები შიშობენ, რომ პანდემიის დასასრულამდე დაავადდება მსოფლიო მოსახლეობის 15%-დან 45%-მდე ნაწილი.



საშუალოდ პლანეტაზე ადამიანთა 30%, ანუ ორი მილიარდი ადამიანი ღორის გრიპს საკუთარ თავზე გამოცდის. დღეისათვის დაავადების 200 000-მდე შემთხვევა დაფიქსირებული, მაგრამ

ამ რაოდენობაში გათვალისწინებული არ არიან ადამიანები, რომელთაც გრიპი იოლი ფორმებით გადაიტანეს და ექიმისთვის არ მიუმატათ.

ევროპაში ღორის გრიპი ყველაზე მეტად გერმანიას მოედო. იქ შემთხვევათა ყველაზე დიდი რაოდენობაა — 7200 დაავადებული დაფიქსირებული. ბერლინმა უკვე გაუხსნო ამ მაჩვენებლით ესპანეთს და დაავადება ისეთი ტემპით ვრცელდება, რომ, როგორც ჩანს, მალე ბრიტანეთსაც გადაუხსრებს, სადაც დაავადებულითა რაოდენობა 12 000-ია.

ფარმაცევტულ კომპანიებს ანტივირუსული ვაქცინაციის წარმოების ხელში ჩასაგდებად უკვე ომი აქვთ. სექტემბრიდან მოსახლეობის ვაქცინაცია დაიწყება.

ღორის გრიპის საწინააღმდეგო სარეკლამო კამპანიის მთავარი გმირი, ბრიტანელი მსახიობი დევიდ მაკასკერი

თავად დაავადდა ღორის გრიპით. როგორც ჩანს, 30 წლის მსახიობმა თავად არ დაიცვა ის წესები, რომლებსაც ასე გულმოდგინედ ასწავლიდა მთელ ბრიტანეთს სარეკლამო რგოლების საშუალებით და ექიმის დროული დახმარება რომ არა, იქნებ ამ შემთხვევაზე აღარც არავის გალიმბოდა.



რატომ მარხავდნენ სოხსალ ახალშობილს?


პარაგვაის ექიმებმა საწყალი ჩვილის გარდაცვალების ფაქტი დაადასტურეს და ლამის მართლა გაისტუმრეს საიქიოს. უდღეური ახალშობილი ასუნსონის ერთ-ერთი საავადმყოფოს ექიმებმა სპეციალურ კოლოფში მოათავსეს და მამამისს სახლში გაუგზავნეს.

ხოცე აღვარენგამ გარდაცვლილი შვილის ნახვა მოისურვა და ბედად ყუთი გახსნა. გახსნა და ბავშვის სუნთქვა იგრძნო. შიშისა და მოულოდნელობისგან კაცმა მაშინვე ყვირილი დაიწყო და დახმარებას ითხოვდა. შემდეგ კი გონს მოეგო და ჩვილი ისევ საავადმყოფოში გააქანა. ბავშვი ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მოათავსეს. ამჟამად ექიმები 500-გრამიანი ბიჭის მდგომარეობას სტაბილურს უწოდებენ. მის მკვდრად გამოცხადებულ ექიმს კი, როგორც კლინიკის მთავარი ექიმი ირწმუნება, გამოძიება და სასამართლო ელის.



როგორ ნატავენ ავსტრალიელები მონა ლიზას?

The Rocks Aroma Festival-ის მონაწილე ენთუზიასტებმა ლეონარდო და ვინჩის მონა ლიზა რძიანი ყავის საშუალებით დახატეს.



პროექტის ავტორები ფერებს ჭიქებში სხვადასხვა კონცენტრაციის ყავით იღებდნენ. 6x4 მ ზომის ნახატს 3606 ფინჯანი, ანუ 338 ლიტრი ყავა დასჭირდა. რვა ადამიანმა სამი საათის განმავლობაში შეუსვენებელი იშრომა, ყავის მონა ლიზას

ხილვით კი 130 ათასი ადამიანი დატკბა.

შეგახსენებთ, რომ მონა ლიზას დედანი ზომით 77 X53 სმ, ხეზე შეითათა შესრულებული და ამჟამად ლუვერში ინახება. ლეონარდო მასზე შესვენებებით 1503-დან 1519 წლამდე მუშაობდა.

გასოსლდება ნეანდერტალელი ადამიანი?

გენეტიკური კოდი თითქმის აღდგენილია. გერმანიის მაქს პლანკის სახელობის ევოლუციური ანთროპოლოგიის ცნობილი ინსტიტუტის სამეცნიერო კოლექტივი დღე-ღამე დაასრულეს მუშაობას ნეანდერტალელი ადამიანის გენეტიკური კოდის აღდგენის უნიკალურ პროექტზე.



შემდეგ ამ არსების სიცოცხლეში დასაბრუნებელი პირობები შეიქმნება. მეცნიერები ნეანდერტალელ ადამიანს ადამიანის განვითარების პროცესში ჩიხად მოიაზრებენ. ზემოხსენებული სამუშაოების ხელმძღვანელის, პროფესორ სვიატე პააბოს აზრით, თანამედროვე მეცნიერება და გენური ინჟინერია უკვე არის იმ დონეზე განვითარებული, რომ ნეანდერტალელი ადამიანი შექმნას, თუმცა მეცნიერთა სამყარო ჯერ ვერ ჩამოყალიბდა საბოლოო აზრზე, სურთ თუ არა კვლავ დააბრუნონ სიცოცხლეში ადამიანის მსგავსი ეს არსება, რომელმაც ვერ გაუძლო კონკურენციას ევოლუციის პროცესში.

600 ათასი წლის წინათ დედადამიანზე გაჩენილი ნეანდერტალელები თანამედროვე სამხრეთ ჩინეთის ზღვიდან ატლანტიკის ოკეანემდე სახლობდნენ. ზოგიერთ ტერიტორიაზე ისინი თანამედროვე ადამიანთან იყოფდნენ საცხოვრებელ გარემოს და ძლიერი კონკურენციის პირობებს ვერ გაუძლეს.

მიუხედავად ყველაფრისა, ახლა მეცნიერებს ნეანდერტალელთა გადაშენების ახალი თეორია აქვთ. მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორ რეჩელ კასტერის აზრით, თანამედროვე ადამიანმა ევოლუციის პროცესში გამარჯვება ფართოდ და ზუსტად ინ-

ფორმირებულობის წყალობით მოიპოვა. ასეთი დასკვნა პროფესორმა სენსაციურ აღმოჩენაზე დაყრდნობით გააკეთა. ამ აღმოჩენის თანახმად, დაახლოებით 30 ათასი წლის წინათ ჰომო საპიენსის ცხოვრებაში საოცარი და ჯერ კიდევ ბოლომდე ამოუხსნელი რამ მოხდა — ადამიანების სიცოცხლე გახანგრძლივდა და იმ პერიოდის ოჯახებში პირველად გაჩნდნენ ბებიები და პაპები.

უფროსი თაობა ადამიანის ევოლუციის პროცესში მთავარ ელემენტად იქცა — მათი წყალობით ადამიანებს ცოდნა და გამოცდილება დაუგროვდათ. ნეანდერტალელ ადამიანს იმავე ამოუხსნელი მიზეზებით სიცოცხლე არ გახანგრძლივებია, ამან კი უთანასწორო ბრძოლაში მათი დამარცხება გამოიწვია. ითვლება, რომ ნეანდერტალელთა უკანასკნელი ტომი 28 ათასი წლის წინათ გაწყდა. ეს ტომი ესპანეთის სამხრეთ ნაწილში თანამედროვე ჰიბრაულტარის რაიონში სახლობდა.

ვინაა ყველაზე მდიდარი?

შოუბიზნესის წარმომადგენელ ქალთა შორის ეს ტიტული პოპულარულ ტელეწამყვან ოპრა უინფრის ერგო. მას ყველაზე ბევრ ფულს უხდიან — 2008 წლის ივნისიდან 2009 წლის ივნისამდე ოპრამ 275 მილიონი დოლარი გამოიმუშავა.



ყველაზე მაღალანაზღაურებდა ქალთა სიაში მეორე ადგილი მადონას უკავია, მან წელიწადში 110 მილიონი დოლარი გადაუხადეს. მესამე ადგილზე მომღერალი სელინ დიონია წლიური 100 მილიონი დოლარით, მეოთხეზე — ასევე მომღერალი ბეონსე ნოულზი. საანგარიშო პერიოდში გამოცემულმა ალბომმა და ორ ფილმში მონაწილეობამ მას 87 მილიონი დოლარი მოუტანა. ხუთეულს ვამპირული საგასავტორო მწერალი შტეფანი მაიერი ასრულებს. ის ერთ წელიწადში 50 მილიონი დოლარით გამდიდრდა.

ერთ დროს ოპრას ადგილს ამ სიაში მსახიობი ანჯელინა ჯოლი იკავებდა, ახლა კი მან ოპრასთან შედარებით მნიშვნელოვნად ცოტა ფული იშოვა და თავისი 27 მილიონით მეათე ადგილს დასჯერდა.

ამჟამის შოუბიზნესის ყველაზე მაღალანაზღაურებადი 15 ქალბატონის საერთო წლიურმა შემოსავალმა ჯამში 920 მილიონი დოლარი შეადგინა.

1	24	33	50	81
16		38	54	61
19		48	66	75
7	23	44	60	71
11	36	59	63	85
9	31	47	74	83

ვის უნდა მილიონი?

უკრაინელმა ილბლიანმა უკრაინის ეროვნული ლატარიის სუპერლოტოს 869-ე გათამაშების 6-დან 6 ციფრი გამოიყვანა და 1,1 მილიონი დოლარის ეკვივალენტი 9,2 გრივანა მოიგო. ლატარიის უკანასკნელი რეკორდი 2006 წელს 10 მილიონი გრივის მოგებით აღინიშნა. იმ პერიოდში 10 მილიონი გრივანა თითქმის 2 მილიონი დოლარს ეკვივალენტი იყო.

კუბაში ტუალეტის ქაღალდის დეფიციტია?

კუბაში ტუალეტის ქაღალდის მარაგი თავდება და სახელმწიფო მოსახლეობის უზრუნველყოფას ამ ყოველად აუცილებელი ინვენტარით წლის ბოლომდე ნამდვილად ერ მოახერხებს. ამის შესახებ შეფოთებით იუწყება კუბის სახელმწიფო სანარმო „სიმექსი“, რომელიც ქვეყანას ტუალეტის ქაღალდით ამარაგებდა.

ახლა კი წარმოებისთვის ნედლეული აღარ არის, იმპორტი კი 20%-ით შემცირდა, რაც მხოლოდ ტუალეტის ქაღალდს კი არა, კუბური მალაზიების ასორტიმენტსაც ნათლად დაეტყო. მიუხედავად მრავალმხრივი დეფიციტისა, ქვეყნის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, სოციალურად მნიშვნელოვან 24 სახეობის პროდუქტზე ფასები შეემცირებინა და ამით მაინც გამოეხატა მხარდაჭერა ქვეყნის მოსახლეობისადმი. კვების, პირადი ჰიგიენისა და სამკურნალო საშუალებების გარკვეულ კატეგორიას 5-დან 27%-მდე ნაკლებ ფასად გაყიდეს. კუბის მოსახლეობა ხელისუფლებისგან ყოველთვიურად იღებს კვების რაციონს, რომელიც, კუბელების თქმით, მხოლოდ ორ კვირას სჭოფნით. კუბის ეკონომიკა მნიშვნელოვნად დაზარალდა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა და შარშანდელი სამი უძლიერესი ქარიზმის გამო. სამაგიეროდ, ყველაწიერი კრიზისის მიუხედავად, გამოსვლისთანავე გაიყიდა ფიდელ კასტროს ორი ათასამდე განთავსებისგან შემდგარი 400-გვერდიანი ლექსიკონი. ეს წიგნი კუბის რევოლუციის ლიდერის იუბილეს ეძღვნება. ფიდელ კასტროს 13 აგვისტოს 83 წელი უსრულდება.



ნიაზ დიასამიძე — თბილისის კოლორიტი

თბილისში, ლენინისა (კოსტავას) და ბელინსკის (ჭოველიძის) ქუჩების კუთხეში, კონიაკის მაღაზია იყო, უკანა მხარეს, ბელინსკის ქუჩის აყოლებზე, №12-ის ჩათვლით — ალკოჰოლიანი სასმელების ჩამოსასხმელი ქარხანა, მაღაზიის მოპირდაპირე მხარეს კი — ვერის ბაზრის ცენტრალური შესასვლელი. შესასვლელთან, შუა ქუჩაში, ფიცრებისგან შეკრულ კვარცხლბეკზე ოსი მილიციელი იდგა. სახე ნოთელი ფერისა ჰქონდა და ამიტომაც კიბოს ვეძახდით. ბელინსკის ქუჩის აყოლებზე მარჯვენა კუთხეში გასტრონომიული მაღაზია იყო. აქ ქურთი მუშები იკრიბებოდნენ. მარცხენა კუთხეში ლამაზ, დარბაისელ, ყველასგან განსხვავებულად ჩაცმულ, იუმორით სავსე ნიაზ დიასამიძეს უყვარდა დგომა. იგი მაშინდელი თბილისის კოლორიტი გახლდათ. მასთან ერთად ამ კუთხეში ვერელი ბიჭები იყრიდნენ თავს.

— ნიაზ, როგორ ხარ? — ენახოთ რა! — იყო პასუხი. ყოველი მისი სიტყვა, თამამად შეიძლება ითქვას, ჩასანერი იყო, მაგრამ მაშინ ამაზე არავინ ფიქრობდა. ახლა რასაც შეძლებს დავარად გაიხსენებს კაცი, ესეც დიდი მონაპოვარია. ნიაზ დიასამიძე არისტოკრატიული ოჯახის შვილი იყო, წარმოშობით — აჭარიდან. მამას — სულეიმან დიასამიძეს ტექნიკუმის დირექტორის პოსტი ეკავა. ნიაზ დიასამიძის მეგობარი და მეზობელი ქართლოს კასრაძე იყო. — პრივეტ, ნიაზ, დარავი, კაკ უიზნ მოლოდაია, — ეუბნება ქართლოსი ნიაზს. — შენ რა, ბოლო გაკვეთილი რუსული გეკონდა? — უპასუხებს ნიაზი. დილოგი გრძელდება. — როგორ ხარ, ქართლოს? — რავი, აბა, სიბრძნის კბილი ამომდის. — ამოგდის თუ ჩაგდის?! — ნიაზ, მაშიდა გარდამეცვალა... — რომელი მამიდა? მამის და, თუ დედის და? *** ქართლოსი იხსენებს: — ერთხელ მე და ნიაზი ვდგავართ ბელინსკის ქუჩის კუთხეში. ამ დროს ზვიდან მოდის ორი ლამაზი გოგო. ერთმა ხელი გამოიმონდა და გამეცნო — ოლიმპიდა. მე ვუპასუხე — სპარტაკიდა.

მეორე ნიაზს მიუბრუნდა: — ხატისკაცი! ნიაზმა მიუგო: — პასკისჯვარი. ნიაზი ყვირის ქუჩაში: — ტაქსი! თავისუფალია? — ჰო! — გაუმარჯოს თავისუფლებას! ნიაზი ეკითხება ძროხის გამყიდველს: — ბიჭო! რა ღირს ეგ ძროხა? — 80 ათასი. — რა ამბავია, „კონიაკს“ ინველის?! ჩავედით მოსკოვში „რეროსთან“ ერთად. კისრამდე თოვლია. ყინავს. ამ დროს ნიაზი გამოვიდა ბაქანზე და მორთო ყვირილი: — „ნასილშიკი“, „ნასილშიკი“! იმდენი იყვირა, სანამ მთელი სადგურის „ნასილშიკები“ არ მოგროვდა. ერთმა ყველაზე მამაცმა შეუტია: — „ჩევო ვი კრიჩიტე, ეტა ჟნე ტოვარნი ვაგონ, ზაჩემ ვამ სტოლკო ნასილშიკოვ?!“ ნიაზი წელში გასწორდა და დაუპატაკა: — „პრივეტოტ ტბილისკის ნასილშიკოვ!“ მოსკოვში ნიაზს ყინულზე ფეხი აუცურდა, დაცემამდე ჰაერში მითხრა — დაჯე, ვილაპარაკოთ. *** ცნობილია, რომ ნიაზს სმა უყვარდა. ამის გამო საავადმყოფოშიც კი იწვია. რა თქმა უნდა, სმა აუკრძალეს.

მევედით ბიჭები სანახავად დარაჯმა არ შეგვიშვა. — ნიაზ! მოვედით სანახავად და დარაჯი არ გვიშვებს, — ავძახებ ქვემოდან. — ბოთლი ჩაართყით! — ჩამოგვძახა. — ბოთლი არ გვაქვს! — აბა, რა ჩემ ფეხებზე მინდა, რომ მოხვედით... *** ერთი ნაცნობი არქიტექტორი დგას ლალიძის წყლებთან, მივიდა ნიაზი და ეუბნება: — რა იყო, ბიჭო, ცხვირპირი რომ ჩამოგტორის? ვერ ხედავ, რა კარგი ამინდია, ჩიტები ჟივილ-ხივილობენ... ნამოდი, გაზაფხულის სადღეგრძელო დაველით. — არა, დალევა არ მინდა, არ ვსვამ, — მიუგო არქიტექტორმა. — მაშინ რას გეტყვი, იცი?! ადვილ და ამ ჩიტებს ერთი საერთო საპირფარეგო დაუპროექტე, თავზე რომ გვასკინტლავენ! *** ადამიანის საშიში, დაუნდობელი და თვალსისხლიანი მტერია ნარკოტიკი. არც ძალზე გადაჭარბებული ალკოჰოლიანი სასმელები, მახსოვს, ერთხელ ზემელზე, რესტორან „გემოში“ ჩავედით მე და ნიაზი. — „პო სტო გრამ“, — გასძახა ნიაზმა მეზუფეტეს. მეზუფეტემ თვალი ჩამიკრა და ნიაზს წყალი დაუსხა, მე კი — არაყი. ვისაუბრეთ და შეზარდულნი ვიყავით ამოვედით „გემოდან“. *** დედაჩემი დიასამიძის ქალი გახლდათ. შესანიშნავად უკრავდა ფორტეპიანოზე. ერთს, საღამოს, შინ რომ დავბრუნდი, დედაჩემმა მითხრა: ნიაზი იყო და 17 მანეთი მთხოვა, მასესხე. მე გამოვუტანე 20 მანეთი. არაფრით არ ნაილო. არა, მაინცდამანც 17 მანეთი მინდა. დაახურდავა და 3 მანეთი დამამბრუნა. — რატომ მანცდამანც 17

მანეთი? — ვკითხე მეორედ ღელს ნიაზს. — დავიანგარიშე, — მითხრა, — 100 გრ არაყი, ორი ქაბაბი, ორი ლუღი და ტროლეიბუსით ზემელზე გასვლა — ორი ბილეთი, იქნებ, ტროლეიბუსში ნაცნობი შემხვედროდაო. ფული მისთვის ხელის ქუჩე იყო. უანგარო და უპატიოსნესი პიროვნება გახლდათ. შესანიშნავია დიმიტრი ბათიაშვილის მიერ გადაღებული მხატვრული ფილმი „არასერიოზული კაცი“, მთავარი გმირი ნიაზ დიასამიძის პროტოტიპია, ბრწყინვალედ თამაშობს უნიჭიერესი მსახიობი და თვითონაც ნაღდი ქალაქელი კაცი გააფრატე. ალკოჰოლიანი სასმელები სადმი განუზომელი მოთხოვნილება მძიმე დაავადებაში გადაეზარდა. ნიაზის მამამ სულეიმან დიასამიძე ძალზე განიცდიდა. ერთხელ სააბაზანო ოთახში ჩაკეტა. აქედან პატარა ფანჯარა კონიაკის ქარხნის ეზოში გადიოდა. ნიაზმა ბოთლს თოკი მოაბა და ქარხნის ეზოში ჩაუშვა. მუშამ კონიაკი ჩაუხსა. სააბაზანო ოთახიდან სულეიმანს სიმღერა მოესმა. გაალო კარი და მთვრალი ნიაზი რომ დაინახა, შხაპი შეამონმა — წყლის ნაცვლად კონიაკი ხომ არ მოდისო... „ბუტილიკა“ შარვალს იცვამდა, კერვაც ეხერხებოდა. — ნიაზ! მაგ შარვალს როგორ იცვამ? — ეკითხება გიგლა ფირცხალავა. პასუხი იმნამსვე მიიღო: — ისე, როგორც შენ მაგ სეიტრს იცვამო (გიგლას ზომავს დიდი თავი ჰქონდა). იმდენად მიმხრეველი და სასიამოვნო აღნაგობისა იყო, რომ ქუჩაში ნებისმიერი გამველი გაუჩერდებოდა სალაპარაკოდ. ერთხელ მოდის ლამაზი გოგო, ტანწერნეტა, კომკავშირელის სამკერდე ნიშანი უკეთია. — გოგონი! — შეაჩერა ნიაზმა, — არა გრცხვენია, კომ-

კავშირელს ამოდენა უკანალი რომ გაქვს?! ნიაზისგან არავის არაფერი სწყინდა. ერთხელ კედელიდან ფოსტის ყუთი ჩამოხსნა, ხელში დაიჭირა, გამველი სოლიდური კაცის ყურადღება მიიქცია. სთხოვა, ცოტა ხანს დაიჭირეთ, ახლავე მოვალა. გამველს ყუთი დიდხანს ეჭირა. *** ავტომანქანა ვათხოვე, სოფელ დილოში წავიდა. საღამოს მანქანა ფარანჩატეხილი დამიბრუნა. — ეს რა გქვია, ნიაზ! — ვუსაყვედურე. — „ზატო“ ძროხის ხორცი ჩამოგიტანე. თურმე ძროხას დატაკებია და ფარნიდან ძროხის ხორცის ნაჭერი გამოიღო. *** ჩემს ძალს ჭადრას ვეთამაშებო, — მითხრა ერთხელ ძალზე სერიოზულად. — ეგ რა ჭკვიანი ძალდი გყოლია?! — გავიკვირე. — ჭკვიანი არა, ჩემი ფეხები, ოთხით ორია ჩემ სასარგებლოდ. დოგი ჰყავდა, „სამაიას“ ბალი რესტორანში დაჰყავდა, ხაშუ აჭმევდა და არაყსაც ასმევდა. ხანდახან „ნიანგის“ რედაქციაში და ჟურნალ „ხელოვნებაში“ თანამშრომლობდა. მაშინ ჟურნალ „ხელოვნების“ რედაქტორი ოთარ ეგაძე გახლდათ. იგი მთავრობაში ცნობილი ნომენკლატურული პირი იყო. ნიჭიერ ადამიანებს დიდ პატივს სცემდა. ჟურნალი „ხელოვნება“ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ გრიფით გამოდიოდა. ბატონი ოთარის სამსახურებრივ საქმეზე შემოვიდა ჩემთან და მახარა: ნიაზი სამსახურში მივიღე და თანაც გამოვასწორე, აღარ სვამსო. ძალიან გამიხარდა. დღის ბოლოს ნიაზმა შემოალო ჩემი კაბინეტის კარი. თმა ბრილიანით გადავარცხნილი ჰქონდა,

ვლევანტური, ღიმილნარევი სერიოზულობით სავარძელში ჩაეშვა. ჩემგან მილოცვა მიიღო, მაკოცა და წავიდა. მას მერე სამსახურში დავდიოდა და მთელი სერიოზულობით ეკიდებოდა საქმეს. ოთარ ეგაძე კი ტრამპაზობდა, ნიაზ დიასამიძე გამოვასწორეო. სიმართლე უნდა ითქვას, მართლაც რომ საკვირველება იყო. ეს საკვირველება დაახლოებით ექვს თვეს გაგრძელდა. ერთ მშვენიერ დღეს, რასაც მშვენიერს ნამდვილად ვერ დავარქმევ, დერეფანში ხმაურმა მიიქცია ჩემი ყურადღება. თანამშრომელი შემოვიდა ჩემთან და ვკითხე ხმაურის მიზეზი. სიცლით მიპასუხა, მთვრალი ნიაზ დიასამიძე ოთარ ეგაძის კაბინეტშია ძალღაღადი ერთად. მაშინვე ავირბინე მე-5 სართულზე, რედაქტორის კაბინეტის კარი შევალე, ბატონი ოთარის სკამიდან მაგიდაზე აღიოდა, ნიაზს ძალდი „პოვო-ლოკით“ ეჭირა და თან ეძახდა: ფუ, ფუ, ფუ. მთვრალი ნიაზი ძალღიანად ჩემთან ჩამოვიყვანე. ასე დამთავრდა მისი სამსახურებრივი საქმიანობა. *** პაპანაძემა ზაფხულში კოჯორში ვისვენებდი. ყური მოვკარი, ვილადაც თქვა: ნიაზი გარდაიცვალა! თბილისში გამოვქანდი. თონესავით გავარვარებული ქალაქი უკაცრიელი იყო. გველის ნაკენივით მახსოვს, რატომღაც, ნიაზ დიასამიძის დაკრძალვამ ექვთიმე თაყაიშვილის დაკრძალვა მომავინა. ქალაქმა კაცი დაკარგა და დაკრძალვას ქალაქი ვერ ესწრებოდა. მეგობრებიდან მხოლოდ ორი გირსუფალი მახსენდება: ნოდარ ქარცივაძე და თემო ჩირვაძე. ...მესამე ვაკის სასაფლაო იყო.

შანი სისარულია

იხსნება დედასამუშაოს, ანუ ტურისტული დეკადა სამეგრელოში

დიდი ილია ბრძანებდა: „სამეგრელოში მოველ და საქართველო ვნახე“. თანამედროვე ქართველს დღეს უცხო ქვეყნებისკენ უფრო აქვს მიპყრობილი ყურადღება და ინტერესი, ვიდრე მშობლიური მიწა-წყლისკენ. ტურიზმი სასწავლო-შემეცნებითი შინაარსით მართლაც გონივრული დასვენებაა. ამის თაობაზე გვესაუბრება საქართველოს მსოფლიო მიდღევათა და მოგზაურობათა ხელშემწყობი კავშირ-კლუბ „გეორგის“ თავმჯდომარე გვანდუპი მანია.

— ბატონო გვანდუპი, ამჯერად კლუბი „გეორგი“ ახორციელებს სასწავლო-შემეცნებით ტურისტულ დეკადა-ტურნეს სამეგრელოში. ამ პროექტის ავტორი თქვენ ბრძანდებით, რა არის მისი მიზანი? — ამ პროექტს 3 ორგანიზატორი ჰყავს: საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება (რომელიც 1850 წელს დაარსდა, მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულება საქართველოს ყველა მხარეში სასწავლო-შემეცნებითი მოგზაურობებია), ფაზისის მეცნიერებათა საერთო აკადემია და ჩვენ. საერთო ძალისხმევით ტრადიციულ გავაცოცხლეთ და ამ პროექტით ტურისტებს საშუალება მივცით, უკეთ გა-

ეცნონ სამეგრელოს ისტორიას, კულტურას, ძეგლებს, იქაურ გმირთა და მონაშენთა ცხოვრება-მოღვაწეობას, ადგილობრივი რენესის პროდუქციას, ეთნოგრაფიას და ფოლკლორს; შეხვდნენ ბუნების ქომაგებს, ხალხური მედიცინის მიმდევრებს, გასინჯონ მეგრული სამზარეულოს კერძები, სასმელები და ხილი. — რა ღირს საგზური და რა პირობებს სთავაზობთ მონაწილეობის მსურველთ? — ეს არც თუ ძვირი სია მოგვებაა. ერთი ტურისტი 10 დღეში 495 ლარს იხდის. ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან წინასწარ დაჯავშნილი საოჯახო სასტუმროებისა თუ დასასვენებელი სახლების მომსახურებით, სამჯერადი კვებით, ყოველდღე ახალი

მეგზურითა და ტრანსპორტით სამეგრელოს კურორტებზე: ნოქალაქევი, მუხური, სკური, ენგური, ჩქვალერი, ცაიში, მალთაყვა. — რამდენად წარმატებით განხორციელდა პირველი ტურისტული დეკადა და როდის იგეგმება შემდეგი? — პირველი ტურისტული დეკადა 29 ივლისს დაიწყო და 7 აგვისტოს დამთავრდა; მოვიარეთ სამეგრელოს ყველა ქალაქი და რაიონი. ვცდილობდით, ტურისტები კმაყოფილები ყოფილიყვნენ. დღის განმავლობაში მათ მოთხოვნებსა და სურვილებს ვითვალისწინებდით, მაგრამ ასეთ დადებით შედეგს დასანწყობიდანვე არ ველოდებოდით. მათზე წარუშლელი მთაბეჭდილება მოახდინა უძველესმა არქეოპოლისმა, ციხე-გოჯმა, ანუ ნოქალაქევა, დადიანთა სასახლემ, მარტვილის ტაძარმა და მუხუმმა, წმ. მღვდელმონაშენ პატრიარქ ამბროსის (ხელაიას) ნაფუძარმა სოფ. ინჩხურში; სუჯუნას ტაძარმა, ჩვენი კუთხის სახელოვან შვილთა სახლ-მუხუმებმა, მუხურში ქართული დედაფუტურის გამოყვანის წესმა და მსოფლიოში მისი გავრცელების ისტორ-

იამ; ფოთის ღირსშესანიშნაობებმა, განსაკუთრებით, ნიკოლოპის თაოსნობით აშენებულმა ტაძარმა, ასევე, სხვა საკვირველმა ისტორიებმა და სანახებმა. ამჟამად უკვე მეორე ტურისტული ჯგუფი იკრიბება, რომელიც აღნიშნულ ტურნეში 15-16 აგვისტოს გაემგზავრება. — საუკეთესო პროექტია, წარმატებებს გისურვებთ.



საქართველო უსტუმარი ჩვენს საიტს
<http://www.geworld.net>
მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არამა სანაბლია, გონდო მინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანდურაშვილი
ვებრედაქტორი გიორგი ხაბთაძე
რეალიზაციის მენეჯერი ლევან ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაძე, რეკლამის მენეჯერი მანია გონაშვილი (858 10 25 48)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. № 166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail: info@geworld.net

